


EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013წ. წინამდებარე თარგმანი განხორციელდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა სატრასტო ფონდის მხარდაჭერით (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი არ ატარებს სასამართლოსთვის სავალდებულო ხასიათს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. საავტორო უფლებასთან დაკავშირებული სრულყოფილი ინფორმაცია წინამდებარე დოკუმენტის ბოლოში.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court. For further information see the full copyright indication at the end of this document.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2013. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour. Pour plus de renseignements veuillez lire l'indication de copyright/droits d'auteur à la fin du présent document.



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ყოფილი მეხუთე სექცია

ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ

(განაცხადი N 21722/11)

გადაწყვეტილება

(არსებითი მხარე)

გადაწყვეტილების ტექსტში დაშვებული შეცდომები გასწორდა 2013 წლის 9
აპრილს სასამართლო რეგლამენტის 81-ე მუხლის საფუძველზე

სტრასბურგი

9 იანვარი 2013

საბოლოო

27/05/2013

*მოცემული გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 ნაწილის
საფუძველზე. ის შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციული ხასიათის გადასინჯვას.*

საქმეზე ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ყოფილი მეხუთე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

დინ შპილმანი, თავმჯდომარე

მარკ ვილიჯერი,

ბოსტიან მ.ზუპანჩიჩი,

ანა პაუერ-ფორდე,

ჟანა იუდკივსკა,

ანჟელიკა ნიუსბერგერი,

ანდრე პოტოცკი, მოსამართლეები

და კლაუდია ვესტერდიკი, სექციის განმწესრიგებელი

2012 წლის 11 დეკემბერს გამართული დახურული თათბირის შემდეგ,

ამავე დღეს გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმის საფუძველია საჩივარი (№21722/11) უკრაინის წინააღმდეგ, რომლითაც სასამართლოს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2011 წლის 30 მარტს, მიმართა უკრაინის მოქალაქემ ბ-ნმა ალექსანდრე ფიოდორის ძე ვოლკოვმა („მომჩივანი“).

2. მომჩივანს წარმოადგენდნენ ბ-ნი ფ.ლიჩი და ქ-ნი ჯ.გორდონი, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის ლონდონის იურისტები („EHRAC“). უკრაინის მთავრობის („მთავრობა“) ინტერესებს იცავდა, სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ქ-ნი ვ. ლუტკოვსკა, რომელიც შემდეგ ბ-ნმა ნ.კულჩიციმ ჩაანაცვლა.

3. მომჩივანი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების პროცესში, მის მიმართ კონვენციით დაცული უფლებების დარღვევას ასაჩივრებდა. კერძოდ, კონვენციის მე-6 მუხლზე დაყრდნობით ის აცხადებდა, რომ : (i) მისი საქმე არ განიხილა „დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ“; (ii) წარმოება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში („იუს“) არ იყო სამართლიანი, ვინაიდან ის არ განხორციელდა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, რომლითაც უზრუნველყოფილი იყო მნიშვნელოვანი პროცედურული გარანტიები, მათ შორის ხანდაზმულობის ვადები დისციპლინური სანქციებისათვის; (iii) მისი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე საქმის სათანადოდ შესწავლის გარეშე და ხმის მიცემის ელექტრონული სისტემის ბოროტად გამოყენებით მიიღო; (iv) საქმე არ განიხილა „კანონის საფუძველზე შექმნილმა სასამართლომ“; (v) გადაწყვეტილებები მის საქმეზე მიღებულ იქნა მტკიცებულებათა სათანადო შეფასების გარეშე და დაცვის მხარის მიერ დაყენებული მნიშვნელოვანი არგუმენტები სათანადო მსჯელობის საგანი არ გამხდარა; (vi) უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს („უას“) მიერ შესაბამისი კომპეტენციის არ ქონა გადაესინჯა „იუს“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ეწინააღმდეგებოდა მის „უფლებას სასამართლოზე“; და (vii) არ იყო დაცული მხარეთა თანასწორობის პრინციპი. მომჩივანი ასევე ასაჩივრებდა, რომ მისი გათავისუფლება არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და რომ მას არ გააჩნდა სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებები კონვენციის მე-13 მუხლის საწინააღმდეგოდ.

4. 2011 წლის 18 ოქტომბერს საჩივარი ნაწილობრივ დაუშვებლად გამოცხადდა და საჩივრის შესახებ ეცნობა მთავრობას. ასევე გადაწყდა საჩივრისთვის პრიორიტეტის მინიჭება (სასამართლოს რეგლამენტის 41-ე მუხლი).

5. მომჩივანმა და მთავრობამ წარადგინეს წერილობითი მოსაზრებები (მუხლი 54 §2 (ბ)).

6. საქმის ზეპირი მოსმენა გაიმართა 2012 წლის 12 ივნისს სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა სასახლეში (მუხლი 59 § 3).

სასამართლოს წინაშე წარსდგნენ:

(ა) მთავრობის სახელით:

ბ-ნი ნ.კულჩიცი,

სახელმწიფო წარმომადგენელი

ბ-ნი ვ.ნასადი,

ბ-ნი მ.ბემი,

ბ-ნი ვ.დემჩენკო,

ქ-ნი ნ.სუხოვა

მრჩეველები;

(ბ) მომჩივანის სახელით:

ბ-ნი ფ.ლიჩი,

იურისტი,

ქ-ნი ჯ.გორდონი,

ქ-ნი ო.პოპოვა,

მრჩევლები.

მომჩივანი ესწრებოდა საქმის ზეპირ მოსმენას.

სასამართლომ მოისმინა ბ-ნი ნ. კულჩიკის, ბ-ნი ფ.ლიჩისა და ქ-ნი ჯ. გორდონის მიმართვები, ასევე ბ-ნი ნ. კულჩიკისა და ბ-ნი ფ.ლიჩის პასუხები მხარეებისთვის დასმულ შეკითხვებზე.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

7. მომჩივანი დაიბადა 1957 წელს და ცხოვრობს კიევში.

ა. ინფორმაცია საქმის შესახებ

8. 1983 წელს მომჩივანი დაინიშნა რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე. იმ დროისათვის მოქმედი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლეს არ მოეთხოვებოდა ფიციის დადება თანამდებობის დაკავებისას.

9. 2003 წლის 5 ივნისს მომჩივანი აირჩიეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ.

10. 2005 წლის 2 დეკემბერს ის ასევე აირჩიეს უკრაინის მოსამართლეთა საბჭოს (სასამართლო თვითმმართველობის ორგანო) თავმჯდომარის მოადგილედ.

11. 2007 წლის 30 მარტს მომჩივანი აირჩიეს უზენაესი სასამართლოს სამხედრო პალატის თავმჯდომარედ.

12. 2007 წლის 26 ივნისს უკრაინის მოსამართლეთა კრებამ დაადგინა, რომ მოსამართლე ვ.პ. აღარ იყო უფლებამოსილი საქმიანობა გაეგრძელებინა “იუს” წევრის სტატუსით და შეუწყვიტა უფლებამოსილება. აღნიშნული გადაწყვეტილება ვ.პ-მ გაასაჩივრა სასამართლოებში. მან შემდგომში, ამავე საკითხზე საჩივრით მიმართა მართლმსაჯულების საკითხთა საპარლამენტო კომიტეტს.

13. 2007 წლის 7 დეკემბერს უკრაინის მოსამართლეთა კრებამ მომჩივანი “იუს” წევრის თანამდებობაზე აირჩია და პარლამენტს მოსთხოვა მომჩივანისთვის, როგორც “იუს” წევრისათვის, ფიციის დადების პროცედურის ჩატარების უზრუნველყოფა, რათა მას შეძლებოდა “იუს” წევრის თანამდებობის დაკავება, “იუს” შესახებ 1998

წლის კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. მსგავსი წინადადება წარდგენილ იქნა ასევე უკრაინის მოსამართლეთა საბჭოს თავმჯდომარის მიერ.

14. საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ს.კ.-მ, რომელიც ამავდროულად “იუს” წევრიც იყო, უკრაინის მოსამართლეთა საბჭოს პასუხად აცნობა, რომ აღნიშნული საკითხი ყურადღებით შესწავლას საჭიროებდა ვ.კ.-ს განცხადებებთან ერთობლიობაში, რომლებშიც ეს უკანასკნელი აცხადებდა, რომ უკრაინის მოსამართლეთა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილება მისთვის “იუს” წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე უკანონო იყო.

15. მომჩივანს “იუს” წევრის თანამდებობა არ დაუკავებია.

ბ. სამართალწარმოება მომჩივნის წინააღმდეგ

16. ამასობაში, ს.კ.-მ და საპარლამენტო კომიტეტის ორმა წევრმა თხოვნით მიმართეს “იუს“-ს, რათა მომჩივნის მიერ შესაძლო პროფესიული გადაცდომის ფაქტთან დაკავშირებით ჩატარებულიყო წინასწარი მოკვლევა. აღნიშნულის საფუძველად, სხვა გარემოებებთან ერთად ვ.კ.-ს საჩივარზეც მიუთითებდნენ.

17. 2008 წლის 16 დეკემბერს “იუს” წევრმა, რ.კ.-მ, ჩატარებული წინასწარი მოკვლევის საფუძველზე შუამდგომლობით მიმართა “იუს“-ს, მომჩივნის მიერ „ფიცის დარღვევის“ საფუძველზე, მისი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის გადასაწყვეტად. რ.კ. აცხადებდა, რომ მომჩივანმა, როგორც უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, სხვადასხვა დროს განიხილა მოსამართლე ბ.-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომელიც იყო მისი ნათესავი, კერძოდ, მეუღლის ძმა. ამას გარდა, მომჩივანი წარმოადგენდა რა მესამე მხარეს ვ.კ.-ს მიერ ინიცირებულ სასამართლო პროცესებში (უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე უკრაინის მოსამართლეთა კრების მიერ მიღებულ ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით), მან არ მოითხოვა იმავე მოსამართლე ბ.-ს აცილება, რომელიც საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლოს პალატის შემადგენლობაში იყო. 2008 წლის 24 დეკემბერს რ.კ.-მ შუამდგომლობას დაურთო იმ საქმეების ჩამონათვალი, რომლებიც მოსამართლე ბ.-მ გადაწყვიტა, ხოლო შემდგომ მომჩივანმა გადასინჯა. მომჩივნის ზოგიერთი ქმედება, რომელიც მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა, 2003 წლის ნოემბრით თარიღდებოდა.

18. 2009 წლის 20 მარტს “იუს” წევრმა, ვ.კ.-მ, ჩატარებული წინასწარი მოკვლევის საფუძველზე მეორე შუამდგომლობით მიმართა “იუს“-ს, მომჩივნის მიერ „ფიცის დარღვევის“ საფუძველზე, მისი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის გადასაწყვეტად. ვ.კ. აცხადებდა, რომ მომჩივანმა დაუშვა რამდენიმე უხეში პროცედურული დარღვევა კორპორაციული დავების განხილვის დროს, რომლებშიც ჩართული იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მომჩივნის ზოგიერთი ქმედება, რომელიც მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა, 2006 წლის ივლისით თარიღდებოდა.

19. 2008 წლის 19 დეკემბერს და 2009 წლის 3 აპრილს მომჩივანს ეცნობა აღნიშნული შუამდგომლობების თაობაზე.

20. 2010 წლის 22 მარტს ვ.კ. აირჩიეს “იუს” თავმჯდომარედ.

21. 2010 წლის 19 მაისს “იუს” -ომ მომჩივანი, მისი გათავისუფლების თაობაზე საქმის ზეპირ მოსმენაზე მიიწვია, რომელიც 2010 წლის 25 მაისს უნდა გამართულიყო. 2010 წლის 20 მაისს მომჩივანმა “იუს” აცნობა, რომ ის ვერ შეძლებდა მოსენაზე დასწრებას, ვინაიდან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით მიემგზავრებოდა სევასტოპოლში ადგილობრივი სასამართლოს კონსულტირების მიზნით, 2010 წლის 24 მაისიდან 28 მაისამდე პერიოდში და “იუს“-ს საქმის ზეპირი მოსმენის გადადება სთხოვა.

22. 2010 წლის 21 მაისს “იუს“-ომ შეტყობინება გაუგზავნა მომჩივანს, რომლითაც ამცნო, რომ საქმის მოსმენა მისი გათავისუფლების თაობაზე, 2010 წლის 26 მაისამდე გადაიდო. მომჩივნის განცხადების თანახმად, მან შეტყობინება 2010 წლის 28 მაისს მიიღო.

23. 2010 წლის 26 მაისს “იუს“-ომ განიხილა რ.კ.-ს და ვ.კ.-ს მიერ წარდგენილი შუამდგომლობები და მიიღო ორი გადაწყვეტილება პარლამენტისადმი მიმართვის თაობაზე, მომჩივნის მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების მოთხოვნით მის მიერ „ფიცის დარღვევის“ საფუძველზე. საქმის მოსმენას თავმჯდომარეობდა ვ.კ., ხოლო რ.კ. და ს.კ. მონაწილეობას იღებდნენ, როგორც “იუს“-ს წევრები. მომჩივანი საქმის მოსმენას არ ესწრებოდა.

24. გადაწყვეტილებებს ხმა მისცა “იუს” თექვსმეტმა წევრმა, რომლებიც ესწრებოდნენ საქმის მოსმენას. მათგან სამი მოსამართლე იყო.

25. 2010 წლის 31 მაისს ვ.კ.-მ, როგორც “იუს” თავმჯდომარემ, პარლამენტს წარუდგინა ორი მიმართვა მოსამართლის თანამდებობიდან მომჩივნის გათავისუფლების თაობაზე.

26. 2010 წლის 16 ივნისს, სხდომაზე, რომელსაც ს.კ. თავმჯდომარეობდა, საპარლამენტო კომიტეტმა განიხილა “იუს” მიმართვები მომჩივანთან დაკავშირებით და მისი გათავისუფლების შესახებ რეკომენდაცია მიიღო. კომიტეტის იმ წევრებმა, რომლებმაც “იუს“-ს მომჩივანთან დაკავშირებით წინასწარი მოკვლევის ჩატარება მოსთხოვეს, ასევე მიიღეს მონაწილეობა ხმის მიცემის პროცედურაში. ს.კ.-ს მსგავსად, კომიტეტის კიდევ ერთ წევრს ჰქონდა შეხება მომჩივნის საქმესთან “იუს” წევრის სტატუსით, ხოლო მოგვიანებით მონაწილეობა მიიღო რეკომენდაციის შესახებ კენჭისყრაში, როგორც კომიტეტის წევრმა. სასამართლო განხილვისას, მის წინაშე წარდგენილი საქმის მასალების თანახმად, მომჩივანი კომიტეტის სხდომას არ ესწრებოდა.

27. 2010 წლის 17 ივნისს პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე განიხილა “იუს“-ს მიმართვები და საპარლამენტო კომიტეტის რეკომენდაცია. აღნიშნულ სხდომას ესწრებოდა მომჩივანი. სხდომაზე მომჩივნის საქმის ირგვლივ მოხსენება ს.კ.-მ და ვ.კ.-მ გააკეთეს. განხილვის შემდეგ პარლამენტმა კენჭი უყარა მოსამართლის თანამდებობიდან, „ფიცის დარღვევის“ საფუძველზე, მომჩივნის გათავისუფლების საკითხს და აღნიშნულის თაობაზე რეზოლუცია მიიღო.

28. მომჩივნის განცხადების თანახმად, ელექტრონული კენჭისყრის დროს, პარლამენტის წევრთა უმრავლესობა დარბაზში არ იმყოფებოდა. პარლამენტის ის

წევრები, რომლებიც დარბაზში იმყოფებოდნენ იყენებდნენ იმ კოლეგების ხმის მისაცემ ბარათებს, რომლებიც დარბაზში არ იმყოფებოდნენ. პარლამენტის წევრთა განცხადებები ხმის მისაცემი ბარათების ბოროტად გამოყენების თაობაზე და პლენარული სხდომის შესაბამისი ნაწილის ვიდეო ჩანაწერი წარდგენილია სასამართლოს წინაშე.

29. მომჩივანმა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება “უას” - ში გაასაჩივრა. იგი აცხადებდა, რომ: “იუს” არ მოქმედებდა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად; მან სათანადოდ არ აცნობა მომჩივანს საქმის განხილვის თარიღების შესახებ; მან არ გამოიყენა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გათავისუფლებისათვის “იუს“-ს შესახებ 1998 წლის კანონის მეოთხე თავით გათვალისწინებული პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს პროცედურულ გარანტიებს, როგორცაა მოსამართლის შეტყობინება დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ და მისი აქტიური მონაწილეობა პროცესებში, სამართალწარმოების ვადები, ფარული კენჭისყრა, ხანდაზმულობის ვადები დისციპლინური სანქციებისათვის; “იუს” დასკვნები იყო დაუსაბუთებელი და უკანონო; საპარლამენტო კომიტეტმა მას არ მოუსმინა და უკანონო და მიკერძოებული ფორმით მოქმედებდა; პარლამენტმა მომჩივნის გათავისუფლების შესახებ რეზოლუცია პარლამენტის წევრთა უმრავლესობის მონაწილეობის გარეშე მიიღო, რაც კონსტიტუციის 84-ე მუხლის, პარლამენტის წევრთა სტატუსის შესახებ 1992 წლის კანონის 24-ე მუხლისა და პარლამენტის რეგლამენტის 47-ე მუხლის დარღვევას წარმოადგენდა.

30. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, მომჩივანი მოითხოვდა “იუს“-ს სადავო გადაწყვეტილებებისა და მიმართვების, ასევე პარლამენტის რეზოლუციის უკანონოდ ცნობას და მათ გაუქმებას.

31. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების კოდექსის („კოდექსი“) 171-1 მუხლის თანახმად, საქმე “უას“-ს სპეციალურ პალატას გადაეცა.

32. მომჩივანმა მოითხოვა პალატის აცილება, ამტკიცებდა რა, რომ მისი შემადგენლობა უკანონო და მიკერძოებული იყო. მისი შუამდგომლობა უსაფუძვლობის მოტივით არ დაკმაყოფილდა. მომჩივნის განცხადების თანახმად, მისი არა ერთი მოთხოვნა სხვადასხვა სახის მტკიცებულებათა მოპოვებისა და საქმეზე დართვის შესახებ, ასევე მოწმეთა დაკითხვის თაობაზე უარყოფილი იქნა.

33. 2010 წლის 6 სექტემბერს მომჩივანმა მის მიერ წარდგენილ სარჩელს დამატებით დაურთო პარლამენტის წევრთა ახსნა-განმარტებები ხმის მისაცემი ბარათების ბოროტად გამოყენების თაობაზე მისი გათავისუფლების შესახებ საკითხის განხილვის დროს და ასევე პლენარული სხდომის შესაბამისი ნაწილის ვიდეო-ჩანაწერი.

34. 2010 წლის 19 ოქტომბერს, რამდენიმე სხდომის ჩატარების შემდეგ, “უას“ “-მა გადაწყვეტილება მიიღო მომჩივნის სარჩელის თაობაზე. მან დაადგინა, რომ მომჩივანი მოსამართლის თანამდებობაზე დაინიშნა 1983 წელს, მაშინ როდესაც ეროვნული კანონმდებლობა მოსამართლის მიერ ფიცის დადების ვალდებულებას არ ითვალისწინებდა. თუმცა მომჩივანი სამსახურიდან გაათავისუფლეს მოსამართლის

პროფესიის ფუნდამენტური სტანდარტების დარღვევის გამო, რომლებიც გამტკიცებული იყო მოსამართლეთა სტატუსის შესახებ 1992 წლის კანონის მე-6 და მე-10 მუხლებში და სავალდებულო იურიდიული ძალა გააჩნდა მომჩივნის მიერ სადავო ქმედებების გახორციელების დროს.

35. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ რ.კ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე “იუს“-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება და მიმართვა არ იყო კანონიერი, ვინაიდან მომჩივანი და მოსამართლე ბ. ,იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ნათესავეებს არ მიეკუთვნებოდნენ. ამას გარდა, სასამართლომ დაადგინა, რომ იმ საქმისწარმოებასთან დაკავშირებით, რომელშიც მომჩივანი მესამე მხარეს წარმოადგენდა, მას არ გააჩნდა ვალდებულება მოეთხოვა მოსამართლე ბ.-ს აცილება. აღნიშნულის მიუხედავად, “უას“-ომ რ.კ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე “იუს“-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ გააუქმა და მიუთითა, რომ კოდექსის 171-1 მუხლის თანახმად, მათი გაუქმების უფლებამოსილება არ გააჩნდა.

36. რაც შეეხება ვ.კ.-ს შუამდგომლობის საფუძველზე “იუს“-ს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და მიმართვას, სასამართლომ ისინი მიიჩნია კანონიერად და დასაბუთებულად.

37. მომჩივნის მტკიცებასთან მიმართებით იმის თაობაზე, რომ “იუს“-ს უნდა გამოეყენებინა “იუს“-ს შესახებ 1998 წლის კანონის მე-4 თავით გათვალისწინებული პროცედურები, სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული კანონის 37 § 2 მუხლის თანახმად, მოცემული პროცედურა ვრცელდება შემთხვევებზე, რომლებიც მოიცავენ ისეთ სანქციებს როგორცაა საყვედური ან საკვალიფიკაციო კლასის ჩამოქვეითება. „ფიცის დარღვევის“ გამო პასუხისმგებლობის სახით სამსახურიდან გათავისუფლებას ითვალისწინებდა კონსტიტუციის 126 § 5 (5) მუხლი და თანმდევი პროცედურა განსხვავებული იყო, კერძოდ ის გათვალისწინებული იყო “იუს“-ს შესახებ 1998 წლის კანონის მეორე თავის 32-ე მუხლით. სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნის მიერ მოხმობილი პროცედურა არ გამოიყენება „ფიცის დარღვევის“ საფუძველზე მოსამართლეთა გათავისუფლებასთან მიმართებით. შესაბამისად, მოსამართლეთა სტატუსის შესახებ 1992 წლის კანონის 36-ე მუხლით და “იუს“-ს შესახებ 1998 წლის კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადების გამოყენების საფუძველები არ არსებობდა.

38. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მომჩივანი არასაპატიო მიზეზით არ დაესწრო “იუს“-ში თავისი საქმის განხილვას. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ საპარლამენტო კომიტეტის მიერ წარმოებული პროცესები არ შეიცავდა პროცედურულ დარღვევებს. რაც შეეხება პლენარულ სხდომაზე მომჩივნის მტკიცებით არსებულ პროცედურულ დარღვევებს, საპარლამენტო რეზოლუციას მომჩივნის გათავისუფლების თაობაზე ხმა მისცა პარლამენტის წევრთა უმრავლესობამ და აღნიშნული დასტურდებოდა სახელობითი კენჭისყრის ჩანაწერებით. სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ მას არ გააჩნდა პარლამენტის რეზოლუციის კონსტიტუციასთან შესაბამისობის შემოწმების უფლებამოსილება, ვინაიდან აღნიშნული საკითხი საკონსტიტუციო სასამართლოს იურიდიქციას მიეკუთვნებოდა.

39. საქმის განხილვა “უას” -ში მიმდინარეობდა მომჩივნისა და დავის სხვა მხარეთა თანდასწრებით.

გ. ეროვნული სასამართლოების თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეების, კერძოდ/ძირითადად “უას” თავმჯდომარის დანიშვნასთან დაკავშირებული გარემოებები

40. 2004 წლის 22 დეკემბერს უკრაინის პრეზიდენტმა სასამართლო სისტემის შესახებ 2002 წლის კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე “უას“-ს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშნა მოსამართლე პ.

41. 2007 წლის 16 მაისს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო სასამართლო სისტემის შესახებ 2002 წლის კანონის მე-20 მუხლის § 5, რომელიც ეხებოდა უკრაინის პრეზიდენტის მიერ სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების დანიშვნისა და გათავისუფლების პროცედურებს. საკონსტიტუციო სასამართლოს რეკომენდაციის თანახმად, პარლამენტს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები უნდა მიეღო აღნიშნული საკითხის სათანადოდ დარეგულირების მიზნით.

42. 2007 წლის 30 მაისს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც ამოქმედდა სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების დანიშვნის დროებითი პროცედურა. რეზოლუციის თანახმად “იუს“-ს მიენიჭა სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების დანიშვნის უფლებამოსილება.

43. იმავე დღეს, მომჩივანმა აღნიშნული რეზოლუცია სასამართლოში გაასაჩივრა და განაცხადა, inter alia, რომ ის არ შეესაბამებოდა “იუს“-ს შესახებ 1998 წლის კანონს და უკრაინის სხვა კანონებს. სასამართლომ დაუყოვნებლივ გამოიტანა დროებითი განჩინება, რომლითაც რეზოლუციის მოქმედება შეაჩერა.

44. 2007 წლის 31 მაისს უკრაინის მოსამართლეთა საბჭომ გაითვალისწინა რა საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით წარმოშობილი საკანონმდებლო ვაკუუმი, მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმად საკუთარ თავს მიანიჭა სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების დანიშვნის დროებითი უფლებამოსილება.

45. 2007 წლის 14 ივნისს პარლამენტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში (პარლამენტის გაზეთი) გამოქვეყნდა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის, ს.კ.-ს მოსაზრება, რომელიც აცხადებდა, რომ ადგილობრივ სასამართლოებს არ ჰქონდათ პარლამენტის მიერ მიღებული ზემოაღნიშნული რეზოლუციის გადასინჯვის უფლებამოსილება და ის მოსამართლეები, რომლებმაც განიხილეს რეზოლუცია გათავისუფლდებოდნენ სამსახურებიდან „ფიცის დარღვევის“ საფუძველზე.

46. 2007 წლის 26 ივნისს უკრაინის მოსამართლეთა კრებამ მხარი დაუჭირა უკრაინის მოსამართლეთა საბჭოს 2007 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებას.

47. 2008 წლის 21 თებერვალს საპარლამენტო რეზოლუციის თაობაზე მსჯელობის შემდეგ სასამართლომ გააუქმა ის მიიჩნია რა უკანონოდ.

48. 2009 წლის 21 დეკემბერს “უას“ -ს პრეზიდენტმა გადაწყვიტა, რომ მოსამართლე პ.-ს, სასამართლო სისტემის შესახებ 2002 წლის კანონის მე-20 მუხლით გათვალისწინებული ხუთ წლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, გაეგრძელებინა “უას“-ს თავმჯდომარის უფლებამოვალეობების შესრულება.

49. 2009 წლის 22 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც განმარტა სასამართლო სისტემის შესახებ 2002 წლის კანონის 116-ე მუხლის § 5 (4) და მე-20 მუხლის § 5. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ზემოაღნიშნული მუხლები უკრაინის მოსამართლეთა საბჭოს ანიჭებდა უფლებამოსილებას რეკომენდაციით მიემართა იმ ორგანოსა თუ თანამდებობის პირისადმი, რომელიც კანონის თანახმად მოსამართლეებს ნიშნავდა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე. სასამართლომ დამატებით დაავალდებულა პარლამენტი დაუყოვნებლივ აღესრულებინა 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება და მიეღო შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

50. 2009 წლის 24 დეკემბერს ადმინისტრაციული სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციამ გადაწყვიტა, მოსამართლე პ.-ს გაეგრძელებინა “უას“-ოს თავმჯდომარეობა.

51. 2009 წლის 25 დეკემბერს უკრაინის მოსამართლეთა საბჭომ გააუქმა 2009 წლის 24 დეკემბერის გადაწყვეტილება მიიჩნია რა უკანონოდ და აღნიშნა, რომ სასამართლო სისტემის შესახებ 2002 წლის კანონის 41-ე მუხლის § 5 -ის საფუძველზე, “უას“-ს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მოსამართლე ს., ვალდებული იყო განეხორციელებინა ამ სასამართლოს თავმჯდომარის უფლება-მოვალეობები.

52. 2010 წლის 16 იანვარს გენერალურმა პროკურატურამ გაავრცელა პრეს-რელიზი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ის ორგანო ან საჯარო მოხელე, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა, სასამართლოების თავმჯდომარეების, ასევე მათი მოადგილეების დანიშვნასა და გათავისუფლებაზე, უკრაინის კანონმდებლობით ჯერ არ იყო განსაზღვრული, ხოლო უკრაინის მოსამართლეთა საბჭოს უფლებამოსილება აღნიშნულ საკითხებზე მხოლოდ რეკომენდაციების წარდგენით შემოიფარგლებოდა. იმდენად რამდენადაც მოსამართლე პ. არ იყო გათავისუფლებული “უას“-ს თავმჯდომარის თანამდებობიდან, შესაბამისად, იგი აღნიშნულ თანამდებობაზე ყოფნას აგრძელებდა კანონის საფუძველზე.

53. მოსამართლე პ.-მ გააგრძელა “უას“-ს თავმჯდომარეობა.

54. 2010 წლის 25 მარტს, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად სცნო პარლამენტის 2007 წლის 30 მაისის რეზოლუცია.

55. “უას“ პალატა, რომელიც კოდექსის 171-1 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს განიხილავდა, 2010 წლის მაისსა და ივნისში შეიქმნა სასამართლო სისტემის შესახებ 2002 წლის კანონის 41-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

II. რელევანტური შიდა სამართლის მიმოხილვა

ა) 1996 წლის 28 ივნისის კონსტიტუცია

56. კონსტიტუციის მე-6 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება უკრაინაში ხორციელდება დანაწილების პრინციპის საფუძველზე - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების მიერ.

57. კონსტიტუციის 76-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის წევრებად შეიძლება არჩეულ იქნენ უკრაინის მოქალაქეები, რომლებმაც მიაღწიეს 21 წლის ასაკს, აქვთ ხმის მიცემის უფლება და ცხოვრობენ უკრაინაში უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში.

58. კონსტიტუციის 84-ე მუხლის ადგენს, რომ პარლამენტის სხდომების მიმდინარეობის დროს პარლამენტის წევრებმა კენჭისყრაში მონაწილეობა უნდა მიიღონ პირადად.

59. კონსტიტუციის 126-ე მუხლის მე-5 ნაწილში იკითხება, რომ:

„მოსამართლე თანამდებობიდან შეიძლება გაათავისუფლოს იმ ორგანომ, რომელმაც აირჩია ან დანიშნა ის, იმ შემთხვევაში თუ:

- (1) ამოიწურა უფლებამოსილების ვადა, რომლითაც ის არჩეული ან დანიშნული იყო;
- (2) მოსამართლემ მიაღწია 65 წლის ასაკს;
- (3) მოსამართლის მიერ შეუძლებელი გახდა მისი უფლებამოსილების განხორციელება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო;
- (4) თუ მოსამართლემ ჩაიდინა მოსამართლის სტატუსისათვის შეუფერებელი ქმედება;
- (5) დაარღვია მოსამართლის ფიცი;
- (6) მის წინააღმდეგ მიღებული იქნა კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი;
- (7) შეუწყდა მოქალაქეობა;
- (8) თუ ის მიჩნეულ იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
- (9) წარადგინა განცხადება გადადგომის ან ნებაყოფლობითი გათავისუფლების შესახებ.“

60. კონსტიტუციის 128-ე და 130 -ე მუხლები ადგენს შემდეგს:

128-ე მუხლი

„პროფესიული მოსამართლეები თავდაპირველად ინიშნებიან უკრაინის პრეზიდენტის მიერ 5 წლის ვადით. ყველა სხვა მოსამართლე, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების გარდა, უნდა აირჩეს პარლამენტის მიერ განუსაზღვრელი ვადით და კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. ...“

131-ე მუხლი

უკრაინაში მოქმედებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომლის უფლებამოსილებებს წარმოადგენს:

(1) შუამდგომლობის წარდგენა მოსამართლეების დანიშვნასა და გათავისუფლებასთან დაკავშირებით;

(2) გადაწყვეტილების მიღება მოსამართლეებისა და პროკურორების მიერ მათ სტატუსთან შეუფერებელი ქმედების ჩადენასთან დაკავშირებულ შემთხვევებზე;

(3) დისციპლინური სამართალწარმოების ჩატარება უზენაესი სასამართლოსა და უმაღლესი სპეციალიზირებული სასამართლოების მოსამართლეების წინააღმდეგ, ასევე საჩივრების განხილვა იმ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, რომელიც სააპელაციო და ადგილობრივი სასამართლოების მოსამართლებსა და პროკურორებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას აკისრებს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 20 წევრისგან. უკრაინის პარლამენტი, უკრაინის პრეზიდენტი, უკრაინის მოსამართლეთა ასოციაცია, უკრაინის ადვოკატთა ასოციაცია, უმაღლესი იურიდიული განათლების დაწესებულებებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების წარმომადგენლების ასოციაცია ნიშნავს იუსტიციის საბჭოს 3-3 წევრს, ხოლო სრულიად უკრაინის პროკურატურის სამსახურების თანამშრომლების კონფერენცია უფლებამოსილია დანიშნოს 2 წევრი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის მინისტრი და გენერალური პროკურორი წარმოადგენენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს *ex officio* წევრებს.“

ბ. 2001 წლის 5 აპრილის სისხლის სამართლის კოდექსი

61. სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლი ადგენს:

„1. მოსამართლის ან მოსამართლეების მიერ განზრახ არასწორი განაჩენის, განჩინების, გადაწყვეტილების, ბრძალების მიღება

ისჯება თავისუფლების შეზღუდვით ვადით ხუთ წლამდე ან ორიდან ხუთ წლამდე პატიმრობით.

2. იგივე ქმედების ჩადენა, რასაც მოჰყვა სერიოზული ზიანი ან თუ ის ჩადენილ იქნა ფინანსური სარგებლის მიღების ან სხვა პირადი ინტერესის გამო

ისჯება ხუთიდან რვა წლამდე პატიმრობით.“

გ. 2005 წლის 6 ივლისის ადმინისტრაციული მართლმსაჯულების კოდექსი

62. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების კოდექსის რელევანტური მუხლები ადგენს შემდეგს:

**161-ე მუხლი: შეკითხვები, რომელიც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს საქმეზე
გადაწყვეტილების მიღების დროს**

„ 1. გადაწყვეტილების მიღების დროს სასამართლომ უნდა განსაზღვროს:

- (1) დასტურდება თუ არა იმ გარემოებებისა და პრეტენზიების არსებობა რომელიც სარჩელშია წარმოდგენილი და რა სახის მტკიცებულებებით დასტურდება ის;
- (2) არსებობს თუ არა სხვა ფაქტობრივი ინფორმაცია და მისი დამადასტურებელი მტკიცებულება, რომელიც რელევანტურია განსახილველი საქმისთვის;
- (3) სამართლის რომელი ნორმები გამოიყენება სადავო სამართლებრივი ურთიერთობის მიმართ;...“

171-ე მუხლი. პროცედურები იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება უკრაინის პარლამენტის წევრის, უკრაინის პრეზიდენტის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, მოსამართლეთა მაღალი კვალიფიკაციის კომისიის წევრების მიერ მიღებულ აქტებს, მათი ქმედებებსა ან უმოქმედებას (დებულებები 2010 წლის 15 მაისის მდგომარეობით)

„1 .აღნიშნული მუხლით დადგენილი წესები გამოიყენება ადმინისტრაციული საქმეების განხილვის დროს, რომელიც უკავშირდება:

- (1) პარლამენტის დადგენილებების, ასევე უკრაინის პრეზიდენტის ბრძანებისა და განკარგულებების კანონიერების (და არაკონსტიტუციურობის) საკითხს;
- (2) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ აქტებს; ...

2. უკრაინის პარლამენტის წევრის, უკრაინის პრეზიდენტის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, მოსამართლეთა მაღალი კვალიფიკაციის კომისიის წევრების მიერ მიღებული აქტები, მათი ქმედება ან უმოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში. ამ მიზნით უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში იქმნება ცალკე პალატა.

...

4. ადმინისტრაციული საქმეები, რომელიც შეეხება უკრაინის პარლამენტის წევრის, უკრაინის პრეზიდენტის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, მოსამართლეთა მაღალი კვალიფიკაციის კომისიის წევრების მიერ მიღებულ აქტებს, მათ ქმედებებსა ან უმოქმედებას უნდა განიხილოს კოლეგიამ, რომლის არანაკლებ 5 წევრი მოსამართლეა.

5. აღნიშნული საქმეების განხილვის შემდეგ, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო უფლებამოსილია:

(1) მთლიანად ან ნაწილობრივ უკანონოდ სცნოს პარლამენტის წევრის, უკრაინის პრეზიდენტის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, მოსამართლეთა მაღალი კვალიფიკაციის კომისიის წევრების მიერ მიღებული აქტები;

(2) პარლამენტის წევრის, უკრაინის პრეზიდენტის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, მოსამართლეთა მაღალი კვალიფიკაციის კომისიის წევრების ქმედება ან უმოქმედება უკანონოდ სცნოს ან დაავალოს მათ კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება. ... „

დ. 2002 წლის 7 თებერვლის კანონი „სასამართლო სისტემის შესახებ“ მასში შეტანილი შემდგომი ცვლილებების გათვალისწინებით (სასამართლო სისტემის შესახებ აქტი, 2002) (2010 წლის 30 ივლისის მდგომარეობით)

63. სასამართლო სისტემის შესახებ კანონის შესაბამისი დებულებები ადგენს შემდეგს:

20-ე მუხლი. სასამართლოთა დაკომპლექტების პროცედურები

„5. ... სასამართლოს თავმჯდომარე და მისი მოადგილე შეიძლება იყოს მოსამართლე, რომელიც დანიშნულია ამ თანამდებობაზე ხუთი წლის ვადით და მისი გათავისუფლება თანამდებობიდან ხორციელდება უკრაინის პრეზიდენტის მიერ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის (სპეციალიზირებული სასამართლოების შემთხვევაში შესაბამისი უმაღლესი სპეციალიზირებული სასამართლოს თავმჯდომარის) შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება უკრაინის მოსამართლეთა საბჭოს (სპეციალიზირებული სასამართლოების შემთხვევაში, შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეების საბჭოს) რეკომენდაციას. ...“

საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით, აქტის 20 მუხლის მე-5 ნაწილი, რომელიც უკრაინის პრეზიდენტის მიერ სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების დანიშვნის წესს შეეხებოდა, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.

41-ე მუხლი. უმაღლესი სპეციალიზირებული სასამართლოს თავმჯდომარე

„1. უმაღლესი სპეციალიზირებული სასამართლოს თავმჯდომარე

...

(3) ქმნის სასამართლოს პალატებს, ადგენს პალატების შემადგენლობას, რომელიც სასამართლოს პრეზიდიუმმა უნდა დაამტკიცოს. ...

5. უმაღლესი სპეციალიზირებული სასამართლოს თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში მის ვალდებულებას ასრულებს მისი პირველი მოადგილე, მისი არ ყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე ადმინისტრაციული ხელისუფლების განაწილების წესის მიხედვით.“

116-ე მუხლი. უკრაინის მოსამართლეთა საბჭო

„1. უკრაინის მოსამართლეთა გაერთიანების სესიებს შორის უკრაინის მოსამართლეთა საბჭო ფუნქციონირებს როგორც მართლმსაჯულების უმაღლესი თვითმმართველობის ორგანო.

...

5. უკრაინის მოსამართლეთა საბჭო უფლებამოსილია:

... (4) გადაწყვიტოს ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების საკითხი იმ შემთხვევებში და იმ პროცედურის შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია აქტით; ...

6. უკრაინის მოსამართლეთა საბჭოს გადაწყვეტილებები სავალდებულოა მართლმსაჯულების სისტემის ყველა თვითმმართველი ორგანოსთვის. უკრაინის მოსამართლეთა საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს უკრაინის მოსამართლეთა გაერთიანების მიერ.“

ე. 1992 წლის 15 დეკემბრის კანონი მოსამართლეთა სტატუსის შესახებ შემდგომში განხორციელებული ცვლილებებით (მოსამართლეთა სტატუსის შესახებ აქტი, 1992) (2010 წლის 30 ივლისამდე რედაქციით)

64. აქტის შესაბამისი დებულებების ადგენს შემდეგს:

მე-5 მუხლი. შეუთავსებლობის მოთხოვნები

„მოსამართლეს უფლება არ აქვს იყოს პოლიტიკური პარტიის ან პროფკავშირის წევრი, ეწეოდეს რაიმე სახის პოლიტიკურ საქმიანობას, გააჩნდეს წარმომადგენლობითი მანდატი, ეკავოს თანამდებობა, ან გააჩნდეს სხვა ანაზღაურებადი სამსახური გარდა სამეცნიერო, საგანმანათლებლო ან სახელოვნებო საქმიანობისა.“

მე-6 მუხლი: მოსამართლეების ვალდებულებები

„ მოსამართლეები ვალდებულნი არიან:

- დაიცვან უკრაინის კონსტიტუცია და კანონები მართლმსაჯულების განხორციელების დროს და უზრუნველყონ საქმეების სრული, სრულყოფილი და ობიექტური განხილვა კანონით დადგენილ ვადებში;

- დაიცვან აქტის მე-5 მუხლის მოთხოვნები და შიდა რეგულაციები;

- არ გასცენ ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო, სამხედრო, კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას წარმოადგენს;

- თავი შეიკავოს ნებისმიერი საქმიანობისგან ან ქმედებისგან, რომელიც ლახავს მართლმსაჯულების ავტორიტეტს და შეიძლება გააჩინოს ეჭვები მის ობიექტურობასთან, მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.“

მე-10 მუხლი: მოსამართლის ფიცი

„დანიშვნამდე მოსამართლე დებს შემდეგ საზეიმო ფიცს:

„საზეიმოდ ვაცხადებ, რომ მე ღირსეულად და ჯეროვნად შევასრულებ მოსამართლის ვალდებულებებს, მართლმსაჯულების განხორციელების დროს შებოჭილი ვიქნები მხოლოდ კანონით და ობიექტური და სამართლიანი ვიქნები.“

ფიცი იდება უკრაინის პრეზიდენტის წინაშე.“

31-ე მუხლი: მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები

„1. მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა ეკისრება დისციპლინური სამართალდარღვევის ჩადენისთვის, რომელიც გულისხმობს შემდეგი მოთხოვნების დარღვევას:

- კანონმდებლობის დარღვევა საქმის განხილვის დროს;
- წინამდებარე აქტის მე-5 მუხლის მოთხოვნების დარღვევას;
- წინამდებარე აქტის მე-6 მუხლის მოთხოვნების დარღვევას;

-

2. სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმებას ან შეცვლას არ შეიძლება მოყვეს იმ მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში, იმ შემთხვევაში თუ დასტურდება, რომ მას არ ჰქონია განზრახვა დაერღვია კანონი ან სათანადოობის მოთხოვნები და თუ განსახილველ გადაწყვეტილებას არ მოჰყოლია სერიოზული ზიანი.“

32-ე მუხლი: დისციპლინური პასუხისმგებლობების სახეები

„1. შემდეგი სახის დისციპლინური პასუხისმგებლობები შეიძლება დაეკისროს მოსამართლეებს:

- შენიშვნა;
- ჩამოქვეითება საკვალიფიკაციო კლასიდან;

2. აქტის 31-ე მუხლში მითითებული თითოეული მოთხოვნის დარღვევისთვის მოსამართლეს მხოლოდ ერთი სახის დისციპლინური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს. ... „

36-ე მუხლი: დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ვადები და დისციპლინური სახდელების მოხსნა

„1. დისციპლინური პასუხისმგებლობა მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს 6 თვის ვადაში იმ დროიდან, როდესაც ცნობილი გახდა დარღვევის შესახებ, შვებულების ან ვალდებულების შესრულების დროებითი შეუძლებლობის პერიოდის გამორიცხვით.

1.იმ შემთხვევაში თუ დისციპლინური ღონისძიების გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში მოსართლეს არ დაეკისრება ახალი დისციპლინური სასჯელი, მოსამართლეს ეხსნება ძველი დისციპლინური სახდელი.

ვ. 1998 წლის 15 იანვრის კანონი უკრაინის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აქტი, 1998) იმ დროს მოქმედი რედაქციით

65. აღნიშნული აქტის მე-6 მუხლი, რომელიც მოქმედებდა 2010 წლის 7 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებებამდე, ადგენს, რომ:

„უკრაინის მოქალაქეს, რომლის ასაკი 25-დან 60 წლამდეა, შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობაზე, თუ ის კარგად ფლობს ეროვნულ ენას, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გააჩნია სამართლის დარგში მუშაობის არანაკლებ 10 წლიანი გამოცდილება და ცხოვრობს უკრაინაში უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში.

პირველ პარაგრაფში მითითებული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს *ex officio* წევრები არიან.

იკრძალება ნებისმიერი ზეგავლენა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრზე.“

66. 2010 წლის 7 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, აქტის მე-6 მუხლს დაემატა შემდეგი პარაგრაფი:

„თუ აღნიშნული აქტი ითხოვს რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი უნდა იყოს მოსამართლე, ეს წევრი უნდა დაინიშნოს იმ მოსამართლეების რიცხვიდან, რომლებიც განუსაზღვრელი ვადით არიან დანიშნულები.“

67. 8-13 მუხლები შეეხება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დანიშვნის პროცედურას და ადგენს, რომ ისინი ინიშნებიან კონსტიტუციის 131-ე მუხლით განსაზღვრული ორგანოების მიერ.

68. 2010 წლის 7 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, აღნიშნულ მუხლებს დაემატათ დამატებითი მოთხოვნები, რომელიც ადგენდა რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ათი წევრი უნდა დაინიშნოს მოსამართლეთა კორპუსიდან კონსტიტუციის 131-ე მუხლით განსაზღვრული ორგანოების მიერ.

69. აქტის მე-17 მუხლის ადგენს, რომ უფლებამოსილების დაწყებამდე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები დებენ ფიცს პარლამენტის წინაშე.

70. აქტის მე-19 მუხლის ადგენს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება ორი სექციისგან. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საქმიანობის კოორდინაციას

ახორციელებს მისი პრეზიდენტი, მისი არყოფნის შემთხვევაში კი მისი მოადგილე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტი, მისი მოადგილე და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სექციების ხელმძღვანელები მუშაობენ სრული დატვირთვით.

71. აქტის სხვა რელევანტური დებულებები ადგენს შემდეგს:

24-ე მუხლი: განხილვები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

„განხილვები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საჯაროა. დახურული განხილვის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური შემადგენლობის უმრავლესობის მიერ...“

26-ე მუხლის: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების აცილება

„იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოს და უნდა აცილებული იქნას იმ საკითხის გადაწყვეტილების მიღების პროცედურისგან, რომელშიც ის პირადად პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგებით... ამ შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი თვითააცილებას ახდენს. გარკვეულ შემთხვევებში პირს, რომლის საქმეც იხილება, აქვს უფლება მოითხოვოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის აცილება...“

27-ე მუხლი: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები

„იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს წინაშე ადმინისტრაციული მართლმსაჯულების კოდექსით დადგენილი პროცედურის შესაბამისად.“

72. აქტის მეორე თავის რელევანტური ნაწილები, რომელიც „მოსამართლეთა გათავისუფლების საკითხის განხილვას“ არეგულირებს, ადგენს შემდეგს:

32-ე მუხლი: წარდგინება განსაკუთრებულ შემთხვევებში მოსამართლეთა გათავისუფლების თაობაზე

(2010 წლის 15 მაისამდე მოქმედი რედაქციით)

„იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლის გათავისუფლების თაობაზე საკითხს განიხილავს კონსტიტუციის 126-ე მუხლის § 4-6 ნაწილებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას საკვალიფიკაციო კომისიის მოსაზრების მიღების შემთხვევაში ან საკუთარი შუამდგომლობით. მოსამართლეს, რომლის საქმეც იხილება, ეგზავნება წერილობითი შეტყობინება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქმის განხილვის დასრულების თაობაზე.“

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მოსამართლის გათავისუფლების თაობაზე კონსტიტუციის 126-ე მუხლის § 5 (4) და 5 ნაწილებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას მიიღება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამსწეთა უმრავლესობის ორი მესამედის მიერ, კონსტიტუციის 126-ე მუხლის § 5 (6) ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური შემადგენლობის უმრავლესობის მიერ. “

32-ე მუხლი: წარდგინება განსაკუთრებულ შემთხვევებში მოსამართლეთა გათავისუფლების თაობაზე (2010 წლის 15 მაისის შემდგომ მოქმედი რედაქციით)

„იუსტიციის უმაღლესი საბჭო მოსამართლის გათავისუფლების თაობაზე საკითხს განიხილავს კონსტიტუციის 126-ე მუხლის § 4-6 ნაწილებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას (მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი საქმიანობა, მოსამართლის ფიცის დარღვევა, მოსამართლის მიმართ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი) საკვალიფიკაციო კომისიის მოსაზრების მიღების შემთხვევაში ან საკუთარი შუამდგომლობით.

მოსამართლის ფიცის დარღვევა გულისხმობს:

(i) ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს ლახავს და შეუძლია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მისი ობიექტურობა, მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა, ასევე სასამართლო სისტემის სამართიანობა და პატიოსნება;

(ii) სიმდიდრის ან შემოსავლის უკანონო მიღება მოსამართლის მიერ, რომლის მოცულობა აღემატება მისი და მისი ოჯახის შემოსავლის ოდენობას;

(iii) მოსამართლის მიერ საქმის განხილვის კანონით დადგენილი ვადების განზრახ გაჭიანურება საქმეზე; [ან]

(iv) მოსამართლეთა ქცევის კოდექსის მორალური და ეთიკური პრინციპების დარღვევა.

მოსამართლეს, რომლის საქმეც იხილება, უნდა გაეგზავნოს წერილობითი შეტყობინება იუსტიციის უმაღლესი საბჭოში საქმის განხილვის სხდომაზე დასწრების თაობაზე. იმ შემთხვევაში თუ საპატიო მიზეზების გამო მოსამართლეს არ შეუძლია სხდომაზე დასწრება, მას აქვს უფლება წარადგინოს წერილობითი მოსაზრებები, რომელიც დაერთვება საქმის მასალებს. მოსამართლის წერილობითი წარდგინება ზეპირად იქნება მოსმენილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე. სხდომაზე მოსამართლის მეორედ დაუსწრებლობა შეიძლება გახდეს საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტის მიღების საფუძველი.

კონსტიტუციის 126-ე მუხლის § 5 (4) – 6 ნაწილებით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მოსამართლის გათავისუფლების თაობაზე მიიღება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური შემადგენლობის უმრავლესობის მიერ.“

73. აქტის მეოთხე თავის რელევანტური ნაწილები, რომელიც „უზენაესი სასამართლოსა და უმაღლესი სპეციალიზირებული სასამართლოების მოსამართლეების მიმართ დისციპლინური წარმოებას“ შეეხება ადგენს შემდეგს:

37-ე მუხლი: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოყენებული სახდელების სახეები (2010 წლის 30 ივლისამდე მოქმედი რედაქციით)

იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია დისციპლინური პასუხისმგებლობა დააკისროს ... უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს... კონსტიტუციის 126-ე მუხლის §5 (5) ნაწილითა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ აქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია გამოიყენოს შემდეგი სახის დისციპლინური სახდელები:

- (1) შენიშვნა;
- (2) საკვალიფიკაციო კლასის დაქვეითება.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მოსამართლე არ შეესაბამება მის მიერ დაკავებულ თანამდებობას და მოსამართლის დამნიშვნელი ორგანოს წინაშე წარადგინოს შუამდგომლობა მისი გათავისუფლების თაობაზე.“

39-ე მუხლი: დისციპლინური წარმოების საფეხურები

დისციპლინური წარმოება შედგება შემდეგი საფეხურებისგან:

- (1) დისციპლინური დარღვევის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება;
- (2) დისციპლინური წარმოების დაწყება;
- (3) დისციპლინური საქმის განხილვა;
- (4) შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ...“

მე-40 მუხლი: დისციპლინური დარღვევის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმება

დისციპლინური დარღვევის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმების უფლებამოსილება აქვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთ-ერთ წევრს, შესაბამისი მოსამართლისგან ან სხვა წევრებისგან წერილობითი განმარტებების მიღების, საქმის მასალების გამოთხოვისა და შესწავლის, სახელმწიფო ორგანოებისგან, ორგანიზაციებისგან, ინსტიტუტებისგან და მოქალაქეებისგან ინფორმაციის გამოთხოვის გზით.

ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ მზადდება ფაქტების აღწერა დასკვნითა და წარდგინებით. განცხადება და სხვა მასალები უნდა მიეწოდოს შესაბამის მოსამართლეს. ...“

41-ე მუხლი: დისციპლინური წარმოების დაწყება

„თუ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებისთვის არსებობს შესაბამისი საფუძვლები, დისციპლინური დარღვევის თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან 10 დღის ვადაში, ან თუ არსებობს მიღებული ინფორმაციის გადამოწმების აუცილებლობა, გადამოწმების დასრულებიდან 10 დღის ვადაში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების დაწყების თაობაზე.“

42-ე მუხლი: დისციპლინური საქმის განხილვა (2010 წლის 30 ივლისამდე მოქმედი რედაქციით)

„იუსტიციის უმაღლესი საბჭო დისციპლინურ საქმეს იხილავს შესაბამისი დასკვნისა და გადამოწმებული მასალების მიღების შემდგომ ჩანიშნულ სხდომაზე.

გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე მიიღება საიდუმლო კენჭისყრით შესაბამისი მოსამართლის დაუსწრებლად...

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეუძლია მოუსმინოს იმ მოსამართლეს, რომლის დისციპლინური საქმეც იხილება. იმ შემთხვევაში თუ საპატიო მიზეზების გამო მოსამართლეს არ შეუძლია სხდომაზე დასწრება, მას აქვს უფლება წარადგინოს წერილობითი მოსაზრებები, რომელიც დაერთვება საქმის მასალებს. მოსამართლის წერილობითი წარდგინება ზეპირად იქნება მოსმენილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე. სხდომაზე მოსამართლის მეორედ დაუსწრებლობა შეიძლება გახდეს საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი. “

43-ე მუხლი: დისციპლინური სახდელის დაკისრების ხანდაზმულობის ვადები

„დისციპლინური სახდელი მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს 6 თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც ცნობილი გახდა მის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენის თაობაზე, შესაძლებლობის დროებითი შეზღუდვის ან შვებულების პერიოდის ჩაუთვლელად. თუმცა, არც ერთ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამართალდარღვევის ჩადენიდან ერთ წელს.“

44-ე მუხლი: დისციპლინური პასუხისმგებლობის მოხსნა

„იმ შემთხვევაში, თუ დისციპლინური სახდელის გამოყენებიდან ერთი წლის განმავლობაში მოსამართლე არ მიიღებს ახალ დისციპლინურ სახდელს, მას მოეხსნება წინა დისციპლინური პასუხისმგებლობა.“

ზ. 2004 წლის 18 მარტის კანონი პარლამენტის მიერ მოსამართლეთა არჩევისა და გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურების შესახებ (მოსამართლეთა არჩევისა და დანიშვნის აქტი, 2004) (2010 წლის 30 ივლისამდე მოქმედი რედაქცია)

74. მოსამართლეთა არჩევისა და დანიშვნის 2004 წლის აქტი ადგენს შემდეგს:

მე-19 მუხლი: საპარლამენტო კომიტეტში იმ მოსამართლეთა გათავისუფლების საკითხის განხილვის პროცედურები, რომლებიც არჩეულები არიან განუსაზღვრელი ვადით

„იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება იმ მოსამართლის გათავისუფლების თაობაზე, რომელიც განუსაზღვრელი ვადით არის არჩეული განიხილება საპარლამენტო კომიტეტში წარდგინების მიღებიდან ერთი თვის ვადაში...“

საპარლამენტო კომიტეტი უფლებამოსილია ჩაატაროს მოკვლევა მოსამართლეთა განცხადებების ან სხვა შეტყობინებების თაობაზე, რომელიც მოსამართლის საქმიანობას შეეხება.

საპარლამენტო კომიტეტი უფლებამოსილია სთხოვოს უზენაეს სასამართლოს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, შესაბამის უმაღლეს სპეციალიზირებულ სასამართლოს, სახელმწიფოს სასამართლო ადმინისტრაციას, უკრაინის მოსამართლეთა საბჭოს ან მოსამართლეთა შესაბამის საკვალიფიკაციო კომისიას დამატებითი მოკვლევის ჩატარება.

შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა დამატებითი მოკვლევის შედეგები საპარლამენტო კომიტეტს უნდა წარუდგინონ წერილობითი ფორმით თავად კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მაგრამ მოკვლევის ჩატარების თაობაზე თხოვნის გაგზავნიდან არაუგვიანეს 15 დღისა.

შესაბამისი მოსამართლე კომიტეტის სხდომამდე უნდა იყოს ინფორმირებული საპარლამენტო კომიტეტში საქმის მოსმენის დროისა და ადგილის თაობაზე.“

მე-20 მუხლი: საპარლამენტო კომიტეტში იმ მოსამართლეთა გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტის პროცედურები, რომლებიც არჩეულები არიან განუსაზღვრელი ვადით

საპარლამენტო კომიტეტის სხდომას, რომელიც იხილავს განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოსამართლეების გათავისუფლების საკითხს, შეიძლება ესწრებოდეს უზენაეს სასამართლოს, უმაღლეს სპეციალიზირებული სასამართლოების, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, სახელმწიფო სასამართლო ადმინისტრაციის, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სხვა საჯარო ინსტიტუტების წარმომადგენლები.

შესაბამისი მოსამართლე ასევე შეიძლება ესწრებოდეს საქმის განხილვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მისი გათავისუფლების საფუძველია კონსტიტუციის 126-ე მუხლის 5 (2), (3), (6), (7), (8) და (9) ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევები.

საპატიო მიზეზის გარეშე შესაბამისი მოსამართლის მეორედ დაუსწრებლობა შეიძლება გახდეს საპარლამენტო კომიტეტის მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, მას შემდეგ რაც კომიტეტი დაადგენს, რომ მოსამართლემ მიიღო შეტყობინება სხდომის დროისა და ადგილის თაობაზე. საპარლამენტო კომიტეტი აფასებს გამოუცხადებლობის მიზეზების ნამდვილობას. ...

საპარლამენტო კომიტეტის მოსამართლის გათავისუფლების თაობაზე წარმოება იწყება თავმჯდომარის ანგარიშის წარმოდგენით.

საპარლამენტო კომიტეტის წევრები და პარლამენტის სხვა წევრები უფლებამოსილნი არიან მოსამართლეს დაუსვან შეკითხვები მოკლევის მასალებსა და მოქალაქეების მიერ წარმოდგენილ განაცხადში მითითებული ფაქტების თაობაზე.

მოსამართლეს უფლება აქვს შეისწავლოს მისი გათავისუფლების თაობაზე საქმის მასალები, საპარლამენტო კომიტეტის მიერ მომზადებული ფაქტების მიმოხილვა და დასკვნა.“

21-ე მუხლი: მოსამართლის გათავისუფლების თაობაზე წარდგინების განხილვა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე

საპარლამენტო კომიტეტს შეუძლია პლენარულ სხდომაზე წარადგინოს წარდგინება, სადაც მოითხოვს ან უარყოფს განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოსამართლის გათავისუფლებას. საპარლამენტო კომიტეტის წევრებს პლენარულ სხდომაზე მიეცემათ სიტყვით გამოსვლის უფლება.“

22-ე მუხლი: მოწვევა იმ პლენარულ სხდომაზე დასწრების თაობაზე რომელიც განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოსამართლის გათავისუფლების საკითხს იხილავს

მოსამართლეს აქვს უფლება ესწრებოდეს პარლამენტის პლენარულ სხდომას იმ შემთხვევაში, თუ სხდომაზე კონსტიტუციის 126-ე მუხლის § (1), (4) და (5) ნაწილების საფუძველზე მისი გათავისუფლების საკითხი განიხილება. სხდომაზე მისი დაუსწრებლობა არ აფერხებს საკითხის არსებითი განხილვის პროცესს.“

23-ე მუხლი: პროცედურები რომელიც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოსამართლის გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტას შეეხება

პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საპარლამენტო კომიტეტი წარმოადგენს მის დასკვნას თითოეული მოსამართლის გათავისუფლების თაობაზე.

იმ შემთხვევაში თუ მოსამართლე არ ეთანხმება მის გათავისუფლებას, მას პლენარულ სხდომაზე უნდა მოუსმინონ.

პარლამენტის წევრებს აქვთ უფლება შესაბამის მოსამართლეს დაუსვან შეკითხვები.

თუ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე საქმის განხილვის დროს დადგინდება, რომ აუცილებელია მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი განცხადებების დამატებითი გამოკვლევა, ან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა, პარლამენტი საპარლამენტო კომიტეტს აძლევს შესაბამის მითითებებს.“

24-ე მუხლი: პარლამენტის გადაწყვეტილება განუსაზღვრელი ვადით დანიშნული მოსამართლის გათავისუფლების თაობაზე

„პარლამენტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლის გათავისუფლების თაობაზე კონსტიტუციის 126-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.

გადაწყვეტილება პარლამენტის მიერ მიიღება ღია კენჭისყრით მისი კონსტიტუციული შემადგენლობის უმრავლესობის მიერ.

გადაწყვეტილება მოსამართლის გათავისუფლების თაობაზე მიიღება პარლამენტის დადგენილების სახით.“

თ. 1995 წლის 4 აპრილის კანონი საპარლამენტო კომიტეტების თაობაზე (პარლამენტის კომიტეტების აქტი, 1995)

75. აღნიშნული აქტის პირველი მუხლის შესაბამისად, საპარლამენტო კომიტეტი პარლამენტის წევრებისგან შედგება და მისი ფუნქციაა კანონპროექტების მომზადება კონკრეტულ დარგებში, იმ საკითხების პირველადი განხილვა, რომელიც პარლამენტის კომპეტენციას განეკუთვნება და კონტროლის ფუნქციის განხორციელება.

ი. 1992 წლის 17 ნოემბრის კანონი პარლამენტის წევრის სტატუსის თაობაზე (პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ აქტი, 1992)

76. აღნიშნული აქტის 24-ე მუხლის შესაბამისად, პარლამენტის წევრი ვალდებულია პირადად ესწრებოდეს პარლამენტის სხდომებს. ის ვალდებულია პირადად მიიღოს იმ საკითხების კენჭისყრაში მონაწილეობა, რომელსაც პარლამენტი და მისი ორგანოები იხილავენ.

კ. 2010 წლის 10 თებერვლის კანონი პარლამენტის რეგლამენტის შესახებ (პარლამენტის რეგლამენტი)

77. პარლამენტის რეგლამენტის 47-ე მუხლი ადგენს, რომ როდესაც პარლამენტი იღებს გადაწყვეტილებებს, მისი წევრები კენჭისყრაში მონაწილეობას იღებენ პირადად კენჭისყრის ოთხში ხმის მიცემის ელექტრონული სისტემით ან ფარული კენჭისყრის შემთვევაში უახლოესი კენჭისყრის ადგილას.

III. ევროპის საბჭოს მასალები

ა. 1998 წლის 8-10 ივლისის ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ (ევროპის საბჭოს იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტი, დოკუმენტი (98)23)

78. ქარტიის მე-5 თავის რელევანტური ამონარიდები მოსამართლეთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც ადგენს:

5.1. მოსამართლის მიერ სტატუტით პირდაპირ განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობას შეიძლება მოჰყვეს გადაწყვეტილება მისი პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც მტკიცდება იმ ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილებით, რეკომენდაციით ან შეთანხმებით, რომელთა წევრების მინიმუმ ნახევარზე მეტს არჩეული მოსამართლეები წარმოადგენენ. საკითხის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებით ქარტიის მიერ დადგენილი პროცედურები გულისხმობს მხარეთა სრულ მოსმენას, რომელშიც შესაბამის მოსამართლეს მიეცემა წარმომადგენლობის უფლება. პასუხისმგებლობების ჩამონათვალი, რომელიც მოსამართლეს შეიძლება დაეკისროს განსაზღვრულია სტატუტით და მათი გამოყენების დროს თანაზომიერების პრინციპი უნდა იყოს დაცული. აღმასრულებელი ხელისუფლების, ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ექვემდებარება გასაჩივრებას ზემდგომ სასამართლო ორგანოში.“

ბ. ვენეციის კომისიის მოსაზრებები

79. გასაჩივრების უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციასთან დაკავშირებით უკრაინის ზოგიერთ კანონში გასატარებელ ცვლილებებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და იურიდიულ საკითხთა გენერალური დირექტორატის მიერ ერთობლივად მომზადებული მოსაზრებების (ვენეცია, 15-16 ოქტომბერი, CDL-AD(2010)029) რელევანტურ ნაწილებში მითითებულია, რომ:

„28. იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა დაბალი რიცხვის პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, სასამართლოს შესახებ უკრაინის კანონის საბოლოო დებულებების XII;3 სექციასა და მოსამართლეთა სტატუსის თაობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ კანონის

3.11 მუხლში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, უმაღლესი რადისა (მუხლი 8.1.) და უკრაინის პრეზიდენტის (მუხლი 9.1.) მიერ დანიშნული 3 წევრიდან ორი, მოსამართლეთა კონგრესის (მუხლი 11.1) მიერ დანიშნული სამი წევრიდან ერთი, ხოლო უმაღლესი იურიდიული განათლების დაწესებულებებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების კონგრესის წარმომადგენლების (მუხლის 12.1.) მიერ დანიშნული 3 წევრიდან ერთი წევრი იუსტიციის უმაღლესი საბჭოში ინიშნება მოსამართლეთა რიცხვიდან. სრულიად უკრაინის პროკურორების კონფერენცია უფლებამოსილია დანიშნოს ორი წევრი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რომელთაგან ერთი წევრი უნდა დაინიშნოს მოსამართლეთა რიცხვიდან (მუხლი 13.1.).

29. ამის მიუხედავად, უკრაინის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა ამ დრომდე არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, რადგან მისი 20 წევრიდან მხოლოდ 3 მოსამართლე არის არჩეული მოსამართლეთა რიცხვიდან. კანონის საბოლოო დებულებები ადგებს, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მოსამართლეთა წილი უფრო მაღალი უნდა იყოს, მაგრამ კანონი მაინც ადგენს, რომ იუსტიციის საბჭოში წევრებს პარლამენტი, პრეზიდენტი, უმაღლესი იურიდიული განათლების დაწესებულებები და პროკურატურა ირჩევს ან ნიშნავს. არსებულ შემადგენლობაში, ერთი მოსამართლე (უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე) არის *ex officio* წევრი და პრეზიდენტისა და პარლამენტის მიერ არჩეული წევრები მართალია არიან *de facto* მოსამართლეები ან ყოფილი მოსამართლეები, თუმცა, არ არსებობს ამის სამართლებრივი მოთხოვნა, სანამ არსებული წევრების მანდატი არ ამოიწურება. იუსტიციის მინისტრთან და გენერალურ პროკურორთან ერთად, წევრების 50 % პროცენტი ეკუთვნის ან არის დანიშნული აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ. ამიტომ არ შეიძლება იმის თქმა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძირითადი ნაწილი მოსამართლე წევრებისგან შედგება. ეს შეიძლება მისაღები იყოს ძველი დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას გადამწყვეტი გავლენა აქვს და ან ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ეს სისტემა სათანადოდ მუშაობს პრაქტიკაში. უკრაინის ხელისუფლება კიევში მიმდინარე შეხვედრების დროს თვითონ უთითებდა, რომ უკრაინა არის გარდამავალი დემოკრატიის ქვეყანა და ის მოხარულია გაიზიაროს სხვა ქვეყნების გამოცდილებები. როგორც ეს მითითებული იყო წინა მოსაზრებებში “*ახალ დემოკრატიებს არ აქვთ შანსი განავითარონ ეს ტრადიცია, შესაბამისად, ამ ქვეყნებში მნიშვნელოვანია არსებობდეს აშკარად გამოხატული კონსტიტუციური და სამართლებრივი დებულებები, რომელიც იქნება გარანტია მოსამართლეთა დანიშვნის პროცესში პოლიტიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენების პრევენციისთვის* “

30. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებული შემადგენლობა შესაძლოა უშვებს კომპრომისებს საპარლამენტო უმრავლესობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, მაგრამ მისი დაკომპექტების წესში არსებული სისტემური ხარვეზი ამით არ გადაიძლევა. ამ ორგანოს არ შეუძლია იყოს პოლიტიკური პარტიის სუბორდინაციისგან თავისუფალი. არ არსებობს საკმარისი გარანტიები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ სამართლიანობის ფუნდამენტური ღირებულებებისა და პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად. მისი შემადგენლობის წესი გაწერილია კონსტიტუციაში და შესაბამისად, აუცილებელია შესაბამისი ცვლილებების გატარება კონსტიტუციაში. იუსტიციის საბჭოს შემადგენლობაში გენერალური პროკურორის *ex officio* წევრად ჩართვა განსაკუთრებულ წუხილს იწვევს, რადგან მან შეიძლება დამაშინებელი გავლენა იქონიოს მოსამართლეებზე და აღქმული იყოს, როგორც პოტენციული საფრთხე. გენერალური პროკურორი არის მხარე ბევრ იმ საქმეში, რომელთა გადაწყვეტა მოსამართლეებს უწევთ და შესაბამისად, მისი ყოფნა იმ ორგანოში, რომელიც მოსამართლეთა დანიშვნის, გათავისუფლებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხს იხილავს არსებობს რისკი, რომ მოსამართლეებმა შეიძლება ვერ დაიცვან ასეთ საქმეებში მიუკერძოებლობის პრინციპი ან თავად გენერალური პროკურორი არ იქნება მიუკერძოებელი იმ მოსამართლეებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების დროს. შესაბამისად, უკრაინის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობა არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. იმის გამო რომ

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის შეცვლა ითხოვს ცვლილებების გატარებას კონსტიტუციაში, რაც რთული შეიძლება აღმოჩნდეს, კანონმა, იმისთვის რომ დააბალანსოს დაკომპლექტების წესი, შეუთავსებლობის მკაცრი რეგულაციები უნდა გაითვალისწინოს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების გათვალისწინებით, მან უნდა იფუნქციონიროს სრული დატვირთვით და მის წევრებს, გარდა *ex officio* წევრების არ უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება განახორციელონ სხვა საჯარო ან კერძო საქმიანობა, გარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობისა. ...

42. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ უკრაინის იუსტიციის მინისტრი და გენერალური პროკურორი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს *ex officio* წევრები არიან (კონსტიტუციის 131-ე მუხლი) და უკრაინის კონსტიტუცია არ შეიცავს გარანტიებს, რომელიც დაადგენდა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების უმრავლესობას ან ძირითად ნაწილს მოსამართლეთა რიგებიდან არჩეული მოსამართლეები უნდა წარმოადგენდნენ, აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის მოსამართლეთა გათავისუფლების თაობაზე შუამდგომლობის წარდგინების უფლებამოსილების მინიჭება ამცირებს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას. ...ნებისმიერ შემთვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ის წევრები, რომლებიც წარადგენენ შუამდგომლობას მოსამართლის გათავისუფლების თაობაზე არ უნდა იღებდნენ მონაწილეობას ამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში: ეს გავლენას იქონიებს მიუკერძოებლობის გარანტიაზე. ...

43. სამართლებრივი განსაზღვრულობისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დაცვისთვის არსებითია, რომ მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლები აკმაყოფილებდეს გასაგებობისა და განჭვრეტადობის მოთხოვნებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ძალიან მკაცრი იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ფართო და ბუნდოვანი განსაზღვრებები. თუმცა, ახალი განმარტებები შეიცავენ ძალიან ზოგად კონცეპტებს, მათ შორის როგორცაა, „ქმედება, რომელიც ლახავს მოსამართლის ღირსებას ან აჩენს ეჭვებს მის მიუკერძოებლობასთან, ობიექტურობასა და დამოუკიდებლობასთან, ან მართლმსაჯულების შეუვალობასა და პატიოსნებასთან დაკავშირებით“ და „ადამიანური ქცევის მორალური და ეთიკური პრინციპების დარღვევა.“ განმარტებების ამგვარი ბუნდოვანობა განსკუთრებით საშიშია და იძლევა მოსამართლეების წინააღმდეგ პოლიტიკური იარაღის გამოყენების შესაძლებლობას. ... ამდენად, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები ამ დრომდე იმდენად ფართოდაა ფორმულირებული, რომ ის უფრო მეტად განსაზღვრულ რეგულაციებს მოითხოვს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

46. საბოლოოდ, 32-ე მუხლი, მის უკანასკნელ პარაგრაფში ითხოვს, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გადაწყვეტილება მოსამართლის გათავისუფლების თაობაზე უნდა მიიღოს უბრალო და არა 2/3 უმრავლესობით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის გათვალისწინებით, ეს წესი შეიძლება იყოს სამწუხარო ნაბიჯი მოსამართლეთა დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ...

51. საბოლოოდ, უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს ე.წ. „მეხუთე პალატის“ შემადგენლობა, რომელიც უმაღლესი გავლენის მქონეა, უნდა იყოს კონკრეტულად განსაზღვრული კანონით, რათა ის აკმაყოფილებდეს კანონის საფუძველზე შექმნილ სასამართლოზე ხელმისაწვდომის ფუნდამენტურ უფლებას...“

გ. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, თომას ჰამარბერგის ანგარიში, რომელიც მომზადდა უკრაინაში მისი ვიზიტის შემდეგ (2011 წლის 19-26 ნოემბერი), CommDH(2012)10, 2012 წლის 23 თებერვალი

80. ანგარიშის შესაბამისი ნაწილები ადგენს შემდეგს:

„II. საკითები, რომელიც დაკავშირებულია მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან

მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა - რომელის ასევე გულისხმობს ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას, უნდა იყოს დაცული კანონის დონეზე და ასევე პრაქტიკაში. ამ მიმართებით კომისარმა მიუთითა, რომ უკრაინაში საზოგადოების აღქმით, მოსამართლეები არ არიან დაცულები გარე, მათ შორის, პოლიტიკური ხასიათის გავლენებისგან. გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა საჭირო რამდენიმე ფრონტზე, რათა აღმოფხვრას ის ფაქტორები რომელიც მოსამართლეთა დაუცველობას განაპირობებს და ასუსტებს მათ დამოუკიდებლობას. ხელისუფლებამ დეტალურად უნდა გამოიკვლიოს ყველა პრეტენზია არასათანადო პოლიტიკური თუ სხვა ხასიათის გავლენების ან სასამართლო ინსტიტუციების საქმიანობაში ჩარევის თაობაზე და უზრუნველყოს ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალებები.

კომისარი მოუწოდებს უკრაინის ხელისუფლების სრულად შეასრულოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციები, რომელიც იმ პროცედურებისა და კრიტერიუმების დაზუსტებას მოითხოვს, რომელიც მოსამართლეთა დანიშვნისა და გათავისუფლების, ასევე მათ მიმართ დისციპლინური ღონისძიებების გამოყენების საკითხს უკავშირდება. არსებითა დადგინდეს ადეკვატური გარანტიები სამართლიანობის უზრუნველყოფისა და დისციპლინური პროცედურების პოლიტიზირების აღმოფხვრის მიზნით. მოსამართლეთა დანიშვნის დროს კანდიდატი პირების კვალიფიკაცია და დამსახურება გადამწყვეტი საკითხი უნდა გახდეს.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებული შემადგენლობა არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და უნდა შეიცვალოს, რაც საკონსტიტუციო ცვლილებებს ითხოვს. ...

20. 2011 წლის ნოემბერს გენერალური პროკურორის მოადილემ მიხაილ ჰავრილიუკმა, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრია, გამოაცხადა რომ დისციპლინური სამართალწარმოება უნდა დაიწყოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატს წევრების წინააღმდეგ იმ საფუძველით, რომ მათ დაარღვიეს მოსამართლის ფიცი. კომისარმა სხვა პირებისგან მიიღო პრეტენზიები, რომ ეს მოვლენები წარმოადგენდა სასამართლო ხელისუფლებაზე აღმასრულებელი ხელისუფლების ზეწოლას, რომელიც უზენაესი სასამართლოს მომავალი თავმჯდომარის არჩევნებზე გავლენის მოხდენას ისახავდა მიზნად.

35. კონსტიტუცია და სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ კანონები ადგენენ, რომ მოსამართლის გათავისუფლება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შუამდგომლობით ახდენს ის ორგანო, რომელიც ნიშნავს ან ირჩევს მას. კომისარს რამდენიმე გამოკითხვლმა პირმა მიუთითა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არსებულ შემადგენლობის გათვალისწინებით, რისკი რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი შეიძლება იყოს პოლიტიკური ან სხვა მოსაზრება საკმაოდ მაღალია. ამგვარმა მოსაზრებებმა შეიძლება ასევე გავლენა იქონიონ პარლამენტის მიერ უვადოდ დანიშნული მოსამართლეების გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტის მიღების დროს. ამდენად, დამატებითი გარანტიები უნდა იქნას მიღებული კანონის დონეზე და ასევე პრაქტიკაში, იმისთვის რომ დაცული იყოს მოსამართლეთა დამოუკიდებლობა.

36. კონსტიტუციაში, ასევე სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ კანონებში გათვალისწინებულია პირობები მოსამართლეებზე არასათანადო ზეწოლის წინააღმდეგ. თუმცა, საჭიროა ეს გარანტიები კიდევ უფრო გაძლიერდეს კანონისა და პრაქტიკის დონეზე. ...

42. კომისარი განსაკუთრებით შეშფოთებულია იმ ანგარიშებით, რომელიც აჩვენებს პროკურატურისა და აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენას მოსამართლეებზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მათი წარმომადგენლობის გზით. კერძოდ, კომისარი ინფორმირებული იქნა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოში პროკურატურის ოფისის წარმომადგენელი წევრის ინიციატივით დაიწყო დისციპლინური საქმისწარმოება მოსამართლეების წინააღმდეგ იმ საფუძველით, რომ მათ სავარაუდოდ დაარღვიეს მოსამართლის ფიცი იმ საქმეებში, სადაც მოსამართლემ მხარი არ დაუჭირა პროკურატურის პოზიციას (იხ. ასევე პარაგრაფი 20). ამ კონტექსტში კომისარი იმეორებს, რომ მოსამართლეებს არ უნდა გააჩნდეთ გათავისუფლების ან დისციპლინური საქმის წარმოების დაწყების შიში იმ გადაწყვეტილებისთვის, რომელიც მათ მიიღეს.

დასკვნები და რეკომენდაციები

46. კომისარი ხაზს უსვამს, რომ მოსამართლეთა დანიშვნის სისტემა უნდა იყოს მთლიანად დაცული არასათანადო პოლიტიკური და სხვა სახის კერძო გავლენისგან. მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა. დისციპლინარული წარმოება მოსამართლეთა წინააღმდეგ დარეგულირებული უნდა იყოს ცხადი წესებითა და პროცედურებით, რომელიც დადგენილია სასამართლო სისტემის შიგნით და არ უნდა ექვემდებარებოდეს პოლიტიკურ ან სხვა სახის არასათანადო გავლენას.

47. მიუხედავად იმისა, რომ კომისარის მანდატი არ იძლევა შესაძლებლობას კომენტარი გააკეთოს იმ პრეტენზიების დასაბუთებულობაზე, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებზე ზემოთ მითითებული ზეწოლის ფაქტებს უკავშირდება (პარაგრაფი 20), მას მიაჩნია, რომ არსებული სიტუაცია სერიოზული შეშფოთების საფუძველს ქმნის. უკრაინის ხელისუფლებამ უნდა გამოიკვლიოს და უპასუხოს ყველა პრეტენზიას, რომელიც სასამართლო ინსტიტუციების საქმიანობაში ინტერვენციას უკავშირდება. ხელისუფლების სხვა შტოს წარმომადგენლებმა თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი ქმედებისგან ან განცხადებისგან, რომელიც შეიძლება განხილული იყოს როგორც სასამართლოს საქმიანობაზე ზეწოლის ინსტრუმენტი ან ექვის ქვეშ შეიძლება დააყენოს მათ მიერ საკუთარი ვალდებულებების ეფექტიანი განხორციელება. მოსამართლეებს არ უნდა გააჩნდეთ შიშის საფუძველი, რომ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას შეიძლება მოყვეს მათი თანამდებობიდან გათავისუფლება ან მათ წინააღმდეგ დისციპლინური საქმის წარმოების დაწყება. დამატებით, მიმდინარე რეფორმაში კიდევ უფრო უნდა გამყარდეს აღმასრულებელი ხელისუფლებისგან სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა. ... „

IV. შედარებით სამართლებრივი კვლევა

81. შედარებით სამართლებრივი კვლევა სახელწოდებით „გარდამავალ პერიოდში სასამართლოს დამოუკიდებლობა“ გამოცემული იქნა მაქს პლანკის ინსტიტუტის მიერ შედარებით საჯარო და საერთაშორისო სამართალში, გერმანიაში, 2012 წელს (*Max-Planck-Institut für ausländisches öffentliches Recht und Völkerrecht*).

82. კვლევის ანგარიში, სხვა მრავალ საკითხთან ერთად სწავლობს, სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინური დევნის პროცედურებს. კვლევა ადგენს, რომ ევროპის ქვეყნებში არ არსებობს ერთიანი მიდგომა მოსამართლეთა დისციპლინასთან დაკავშირებით. ამის მიუხედავად, დგინდება რომ მრავალ ევროპულ ქვეყანაში მოსამართლეთა დისციპლინური

პასუხისმგებლობის საფუძვლები განმარტებულია საკმაოდ ფართე ტერმინებით (როგორცაა, მაგალითად, საკუთარი ვალდებულებების სერიოზული და განმეორებითი უგულებელყოფა, რაც იძლევა საფუძველს ამტკიცო, რომ კონკრეტული მოსამართლე არ შეესაბამება მის მიერ დაკავებულ თანამდებობას (შვედეთი)). გამონაკლისის სახით იტალიაში კანონი ადგენს ამომწურავ სიას იმ 37 სხვადასხვა ხასიათის დისციპლინური დარღვევისა, რომელიც მოსამართლემ შეიძლება ჩაიდინოს მის საქმიანობასთან დაკავშირებით ან მის გარეთ. დისციპლინური დარღვევისთვის მოსამართლეების წინააღმდეგ გამოყენებული სანქციები მოიცავს: შენიშვნას, გაფრთხილებას, გადაყვანას, კვალიფიკაციის დამდაბლებას, ჩამოქვეითებას, დაწინაურების შეჩერებას, ჯარიმას, ხელფასის მოჭრას, საქმიანობის დროებით შეწყვეტას, გათავისუფლებას საპენსიო შეღავათებით ან მის გარეშე. მოსამართლის გადაწყვეტილება, რომელიც პასუხისმგებლობის ყველაზე მძიმე ფორმას წარმოადგენს ჩვეულებრივ გაიცემა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება მიიღებოდეს სხვა ორგანოს მიერ, მაგალითად როგორცაა მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს დისციპლინური პალატა, მაგრამ როგორც წესი ეს გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში. შვეიცარიის გამონაკლისის გარდა, პარლამენტი არ პროცესში არ არის ჩართული. შვეიცარიის სისტემა ფუნდამენტურად განსხვავებულია მოსამართლეთა არჩევის ვადის მცირე პერიოდის გამო.

სამართალი

I. კონვენციის მე-6 § 1 მუხლის სავარაუდო დარღვევა

83. მომჩივანმა კონვენციის მე-6 § 1 მუხლის საფუძველზე გაასაჩივრა შემდეგი საკითხები: (i) მისი საქმე არ განიხილა „დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ“; (ii) სამართალწარმოება “იუს” -ში არ იყო სამართლიანი, ვინაიდან ის არ განხორციელდა “იუს” შესახებ 1998 წლის კანონის მეოთხე თავით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად, რომლითაც უზრუნველყოფილი იყო მნიშვნელოვანი პროცედურული გარანტიები, მათ შორის ხანდაზმულობის ვადები დისციპლინური სანქციებისათვის; (iii) მისი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება პარლამენტმა მიიღო პლენარულ სხდომაზე ხმის მიცემის ელექტრონული სისტემის ბოროტად გამოყენებით; (iv) მისი საქმე არ განიხილა „კანონის საფუძველზე შექმნილმა სასამართლომ“; (v) გადაწყვეტილებები მის საქმეზე მიღებულ იქნა მტკიცებულებათა სათანადო შეფასების გარეშე და დაცვის მხარის მიერ დაყენებული მნიშვნელოვანი არგუმენტები სათანადო მსჯელობის საგანი არ გამხდარა; (vi) “უას” “ მიერ შესაბამისი კომპეტენციის არ ქონა გადაესინჯა “იუს” მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ეწინააღმდეგებოდა მის „უფლებას სასამართლოზე“ ; და (vii) არ იყო დაცული მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

84. კონვენციის მე-6 § 1 მუხლი შემდეგნაირად იკითხება:

„1. ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. ...“

ა. დასაშვებობა

85. მხარეებმა სადავოდ არ გახადეს ზემოაღნიშნული საჩივრის დასაშვებობა.

86. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობამ აღიარა კონვენციის მე-6 § 1 მუხლის გავრცელება მოცემულ საქმეზე, სასამართლო საჭიროდ მიიჩნია აღნიშნული საკითხის დეტალური განხილვა.

1. რამდენად გამოიყენება მე-6 § 1 მუხლის სამოქალაქო ნაწილი

87. სასამართლო აღნიშნავს, რომ შრომითი დავები საჯარო მოხელეებსა და სახელმწიფოს შორის არ ექვევა მე-6 მუხლის სამოქალაქო ნაწილის მოქმედების ქვეშ, თუ შესრულებულია ორი კუმულატიური პირობა. პირველი, ეროვნული კანონმდებლობით ცალსახად აკრძალული უნდა იყოს შესაბამისი თანამდებობის პირთათვის ან მოსამსახურეთა გარკვეული კატეგორიებისადმი სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. მეორე, სასამართლოსათვის მიმართვის უფლების არარსებობა გამართლებული უნდა იყოს სახელმწიფო ინტერესების შემცველი ობიექტური საფუძველით (იხ. *Vilho Eskelinen and Others v. Finland* [GC], no. 63235/00, § 62, ECHR 2007-IV).

88. ზემოაღნიშნული პირველი პირობის კონტექსტში, ვილჰო ესკელინენის ტესტის მიზნებიდან გამომდინარე, სასამართლო არ არის შეზღუდული განიხილოს ესა თუ ის ეროვნული ორგანო, როგორც „სასამართლო“, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ის ეროვნულ დონეზე სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელ ორგანოს. ადმინისტრაციული ან საპარლამენტო ორგანო შეიძლება განიხილებოდეს „სასამართლოდ“ ამ ტერმინის არსებითი მხარის მნიშვნელობით, რაც დასაშვებად ხდის საჯარო მოხელეთა დავების მიმართ მე-6 მუხლის გამოყენებას (იხ. *Argyrou and Others v. Greece*, no. 10468/04, § 24, 15 იანვარი 2009, და *Savino and Others v. Italy*, nos. 17214/05, 20329/05 და 42113/04, §§ 72-75, 28 აპრილი 2009). მიუხედავად იმისა, გამოიყენება თუ არა მე-6 მუხლი, აღნიშნული გავლენას ვერ იქონიებს იმ საკითხის შეფასებისას, დაცული იყო თუ არა სამართალწარმოების დროს პროცედურული გარანტიები (*ibid.*, § 72).

89. რაც შეეხება მოცემულ საჩივარს, მომჩივნის საქმე განიხილა “იუს“-ომ, რომელმაც დაადგინა საქმის ფაქტობრივი ასევე სამართლებრივი გარემოებები, საქმის ზეპირი მოსმენისა და მტკიცებულებათა შეფასების შემდეგ. საქმის განხილვის შედეგად “იუს“-ომ პარლამენტს მომჩივნის გათავისუფლების თაობაზე ორი მიმართვა წარუდგინა. პარლამენტისადმი წარდგენილი მიმართვები განსახილველად

გადაეცა მართლმსაჯულების საკითხთა საპარლამენტო კომიტეტს. იმ დროისათვის აღნიშნული კომიტეტი დამოუკიდებლად აფასებდა “იუს“-ს დასკვნებს. ის უფლებამოსილი იყო გაემართა დისკუსია და საჭიროების შემთხვევაში დამატებით გამოეკვლია საკითხი, რომლის შედეგად გამოსცემდა მოსამართლის გათავისუფლების შესახებ ან საწინააღმდეგო რეკომენდაციას (იხ. მოსამართლეების შესახებ 2004 წლის კანონის 19-21 მუხლები (არჩევა და გათავისუფლება)). პარლამენტმა პლენარულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება მომჩივნის გათავისუფლების შესახებ, “იუს“-ს მიმართვებისა და საპარლამენტო კომიტეტის რეკომენდაციის საფუძველზე (იხილეთ იმავე კანონის მუხლი 23). და ბოლოს, “იუს“-სა და პარლამენტის გადაწყვეტილებები გადასინჯული იქნა “უას“-ს მიერ.

90. ზემოთ თქმულიდან იკვეთება, რომ მომჩივნის საქმის განხილვისას და სავალდებულო გადაწყვეტილების მიღებისას, “იუს“, საპარლამენტო კომიტეტი და პარლამენტის პლენარული სხდომა ერთობლიობაში ასრულებდნენ სასამართლო ხელისუფლების ფუნქციას (იხ. *Savino and Others*, ზემოთ მითითებული, §74). მომჩივნის გათავისუფლების შესახებ სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილება მოგვიანებით “უას“-ომ განიხილა, რომელიც ჩვეულებრივ სასამართლოს წარმოადგენდა ეროვნული სასამართლო ხელისუფლების სისტემაში.

91. ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ეროვნული სასამართლო „ცალსახად გამორიცხავდა სასამართლოს ხელმისაწვდომობას“. აღნიშნულის გამო, სახეზე არ გვაქვს ვილჰო ესკელინენის ტესტის პირველი პირობა და შესაბამისად, მე-6 მუხლის სამოქალაქო ნაწილი ვრცელდება (შეადარეთ *Olujic v. Croatia*, no. 22330/05, § 31-45, 5 თებერვალი 2009).

2. რამდენად გამოიყენება მე-6 § 1 მუხლის სისხლისსამართლებრივი ნაწილი

92. მე-6 მუხლის ორი ნაწილი, სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი, უცილებლად ურთიერთგამომრიცხავი არ არის (იხ. *Albert and Le Compte v. Belgium*, 10 თებერვალი 1983, § 30, სერია A no. 58). შესაბამისად, გასარკვევია, ასევე ვრცელდება თუ არა მე-6 მუხლის სისხლისსამართლებრივი ნაწილიც.

93. ენგელის კრიტერიუმის თანახმად (იხ. *Engel and Others v. the Netherlands*, 8 ივნისი 1976, §§ 82-83, სერია A no. 22), გარკვეული მოსაზრებები წარმოიქმნება მომჩივნისთვის დაკისრებული სანქციის სიმკაცრესთან დაკავშირებით. პოლონეთში ლუსტრაციის შესახებ სამართალწარმოება, რომლის შედეგად შესაბამისი პირები გათავისუფლდნენ სამსახურებიდან, გარკვეულწილად ანალოგიურ საქმედ შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა მოვლენების განვითარების შეფასებისას სასამართლომ დაადგინა, რომ პოლონეთის კანონმდებლობის შესაბამისი დებულებები შეეხო არა „ინდივიდთა ჯგუფებს, რომლებსაც სპეციალური სტატუსი ეკავათ-მაგალითად, დისციპლინარული სამართალწარმოების კუთხით“, არამედ ზოგადად მოქალაქეთა დიდ ნაწილს; შედეგად მოქალაქეებს აკრძალათ საჯარო სამსახურში მუშაობა, თუმცა ეროვნული კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული იმ თანამდებობების ამომწურავი ჩამონათვალი, რომელთა დაკავებაც ეკრძალებოდა ინდივიდებს (იხ.

Matyjek v. Poland (dec.), no. 38184/03, §§ 53 და 54, ECHR 2006-VII). მოცემული საქმე განსხვავებულია, ვინაიდან წინამდებარე საქმეში მომჩივანი, რომელსაც ეკავა სპეციალური სტატუსი საზოგადოებაში, დაისაჯა პროფესიული უფლებამოსილების დარღვევისათვის-კერძოდ, დარღვევისთვის, რომელიც ცალსახად დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ექცევა. პროფესიული გადაცდომის გამო მომჩივნისთვის დაკისრებული სანქცია წარმოადგენდა დისციპლინური პასუხისმგებლობის კლასიკურ სახეს, განსხვავებით იმ სისხლისსამართლებრივი სასჯელებისაგან, რომლებიც დადგენილი იყო ეროვნული კანონმდებლობით მოსამართლის მიერ განზრახ არასწორი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში (იხ. ზევით სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 375). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება მომჩივანს არ ართმევდა უფლებას განეხორციელებინა იურიდიული საქმიანობა სხვა სტატუსით.

94. მეტიც, სასამართლომ დაადგინა, რომ შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან გათავისუფლება არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ სასჯელს კონვენციის მე-6 §1 მუხლის მიზნებისათვის (იხ. *Tepeli and Others v. Turkey* (dec.), no. 31876/96, 11 სექტემბერი 2001 და *Suküt v. Turkey* (dec.), no. 59773/00, 11 სექტემბერი 2007). სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სასამართლო აღმასრულებლის გათავისუფლების თაობაზე წარმოებული პროცესები მის მიერ ჩადენილი არაერთი გადაცდომის ბრალდებით „სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევას არ მოიცავდა“ (იხ. *Bayer v. Germany*, no. 8453/04, § 37, 16 ივლისი 2009).

95. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საჩივრის გარემოებების გათვალისწინებით არ შეიძლება დავასკვნათ, რომ მომჩივნის გათავისუფლების საქმე შეეხებოდა სისხლისსამართლებრივი ბრალდების გამორკვევას კონვენციის მე-6 მუხლის გაგებით. შესაბამისად, აღნიშნული მუხლის სისხლისსამართლებრივი ნაწილი არ გამოიყენება.

3. სხვა მხრივ, მისაღებობასთან დაკავშირებით

96. სასამართლო შემდგომ აღნიშნავს, რომ საჩივარი მე-6 §1 მუხლის საფუძველზე არ არის აშკარად უსაფუძვლო კონვენციის 35 § 3 (ა) მუხლის მნიშვნელობით. ის ასევე აღნიშნავს, რომ არ არსებობს დაუშვებლობის რაიმე სხვა საფუძველი. შესაბამისად, საჩივარი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

ბ. საქმის არსებითი განხილვა

1. „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს“ პრინციპის შესახებ

(ა) მომჩივნის მოსაზრებები

97. მომჩივანი ჩიოდა, რომ მისი საქმე არ განიხილა „დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ“. კერძოდ, აღნიშნული მოთხოვნები არ იყო დაცული “იუს“-ს მიერ შემდეგი გარემოებების გამო: მისი შემადგენლობის განსაზღვრის წესი, მისი წევრების დაქვემდებარება სხვა სახელმწიფო ორგანოებზე და მომჩივნის საქმის შედეგით “იუს“-ს ზოგიერთი წევრის პირადი დაინტერესება. მომჩივანი განსაკუთრებით აღნიშნავდა, რომ ს.კ., ვ.კ. და რ.კ არ შეიძლებოდა მიუკერძოებლები ყოფილიყვნენ მისი საქმის განხილვის დროს. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნა არ იყო დაცული არც სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებზე, მათ შორის “უას“-ს მიერ, რომელმაც არ უზრუნველყო არც აუცილებელი გარანტიები და არც საკითხის ადეკვატური გადასინჯვა.

98. მეტიც, მომჩივნის განცხადების თანახმად, “უას“-ს მიერ მისი საქმის გადასინჯვა არ შეიძლებოდა ჩათვლილიყო წინა ეტაპებზე არსებული პროცედურული ხარვეზების აღმომფხვრელ სათანადო საშუალებად. კერძოდ, “უას“ ფორმალურად არ შეეძლო მისი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება და რაიმე სახის რეგულაციის არ არსებობის პირობებში, გაურკვეველი რჩებოდა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების უკანონოდ გამოცხადების შემთხვევაში რა პროცედურული შედეგი დადგებოდა. უფრო მეტიც, “უას“-მ არ გასცა ადეკვატური პასუხები საქმის განხილვისას მომჩივნის მიერ დაყენებულ მნიშვნელოვან არგუმენტებსა და მოსაზრებებზე მისი გათავისუფლებისათვის ფაქტობრივი საფუძვლების არარსებობის, “იუს“-ს წევრების პირადი დაინტერესებისა და პარლამენტის კენჭისყრის პროცედურის დარღვევების შესახებ.

(ბ) მთავრობის მოსაზრებები

99. მთავრობა ამტკიცებდა, რომ ეროვნული კანონმდებლობით განმტკიცებული იყო “იუს“-ს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სათანადო გარანტიები. ამავდროულად, არ დასტურდებოდა მომჩივნის საქმის შედეგებით დაინტერესება “იუს“-ს რომელიმე წევრის მიერ, რომლებიც მომჩივნის საქმეს განიხილავდნენ. კერძოდ, ს.კ.-ს მიერ მასმედიისთვის გაკეთებულ განცხადებებს, რომლებზეც მომჩივანი აპელირებდა, ადგილი ჰქონდა წინამდებარე საქმეში განხილულ გარემოებებამდე ექვსი და მეტი თვით ადრე. შესაბამისად, არ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი აღნიშნულ განცხადებებსა და მომჩივნის გათავისუფლებას შორის. ასევე, მყარი არგუმენტები არ არსებობდა მომჩივნის განცხადების მხარდასაჭერად იმასთან დაკავშირებით, რომ რ.კ და ვ.კ. მომჩივნის საქმის შედეგებით იყვნენ დაინტერესებულები. ნებისმიერ შემთხვევაში, “იუს“-მ გადაწყვეტილება უმრავლესობით მიიღო და “იუს“-ს ზოგიერთი წევრის მიერ სადავო დაინტერესების ფაქტი სერიოზულ ზეგავლენას ვერ მოახდენდა აღნიშნული ორგანოს მიუკერძოებლობაზე.

100. მთავრობამ აღიარა, რომ არსებობდა წევრთა გარკვეული თანხვედრა “იუს“-ის და საპარლამენტო კომიტეტის შემადგენლობაში, რომლებმაც განიხილეს მომჩივნის საქმე, მას შემდეგ რაც ის პარლამენტს გადაეცა. აღნიშნულის მიუხედავად, კომიტეტი

წარმოადგენდა კოლეგიალურ ორგანოს, რომელიც გადაწყვეტილებებს ხმათა უმრავლესობით ღებულობდა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა არ გააჩნდა პარლამენტის პლენარული სხდომისათვის.

101. მთავრობა ამტკიცებდა, რომ არ არსებობდა “იუს” -ს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებელობის ეჭვქვეშ დაყენების საფუძვლები.

102. დამატებით, მთავრობის განცხადების თანახმად, “უას“-ს მიერ საქმის განხილვა წარმოადგენდა სათანადო საშუალებას, ეროვნული სამართალწარმოების ადრინდელ ეტაპებზე დაშვებული შესაძლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ამ კუთხით მთავრობამ დააკონკრეტა, რომ “უას” -ს გააჩნდა სათანადო კომპეტენცია უკანონოდ გამოეცხადებინა “იუს“-ს და პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოსამართლის გათავისუფლების შესახებ, რაც შედეგობრივად გამოიწვევდა იმას, რომ მოსამართლე არ გათავისუფლდებოდა დაკავებული თანამდებობიდან. აღნიშნული მტკიცების მხარდასაჭერად, მთავრობამ სასამართლოს წარუდგინა მაგალითები ეროვნული სასამართლოების პრაქტიკიდან, სადაც მოსამართლეებმა შეძლეს წარმატებით გაესაჩივრებინათ გადაწყვეტილება მათი გათავისუფლების შესახებ, რომლის შემდგომაც სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნით მიმართეს სასამართლოს. ამ კონტექსტში, მთავრობა აღნიშნავდა, რომ ფორმა, რომლის დაცვითაც “უას“-მ განიხილა მომჩივნის საქმე, იყო შესაბამისი და მომჩივნის მიერ დაყენებულ ყველა რელევანტურ არგუმენტს გაეცა პასუხი. კერძოდ, “უას“-მ სათანადო პასუხი გასცა მომჩივნის მტკიცებას პარლამენტში კენჭისყრის პროცედურის დარღვევასთან დაკავშირებით. ანალოგიურად “უას” -მ სათანადოდ განიხილა მომჩივნის არგუმენტები დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებელობის მოთხოვნების დარღვევის თაობაზე, რასაც მომჩივნის განმარტებით, ადგილი ჰქონდა სამართალწარმოების წინა ეტაპებზე.

(გ) სასამართლოს შეფასება

103. იმისათვის, რომ დადგინდეს სასამართლო არის თუ არა „დამოუკიდებელი“ მე-6 §1 მუხლის გაგებით, უნდა გაირკვეს, მათ შორის, რა ფორმითა და რა ვადით ინიშნებიან მისი წევრები, არსებობს თუ არა გარანტიები გარე ზეწოლის წინააღმდეგ და თუ რამდენად დამოუკიდებლად გამოიყურება მოცემული ორგანო (იხ. *Findlay v the United Kingdom*, 25 თებერვალი 1997, § 73, *Reports of Judgments and Decisions* 1997-I, და *Brudnicka and Others v. Poland*, no. 54723/00, § 38, ECHR 2005-II). სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხელისუფლების დანაწევრების პრინციპი სახელმწიფოს პოლიტიკურ ორგანოებსა და სასამართლო ხელისუფლებას შორის სულ უფრო მზარდ მნიშვნელობას იძენს სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში (იხ. *Stafford v. the United Kingdom* [GC], no. 46295/99, § 78, ECHR 2002-IV). ამავდროულად, არც მე-6 მუხლი და არც კონვენციის რაიმე სხვა დებულება ავალდებულებს სახელმწიფოს შეესაბამებოდეს რომელიმე თეორიულ კონსტიტუციურ კონცეპციას, ხელისუფლების შტოთა ურთიერთქმედების დასაშვები

საზღვრების შესახებ (იხ. *Kleyn and Others v. the Netherlands*[GC], nos. 39343/98, 39651/98, 43147/98 and 46664/99, § 193, ECHR 2003-VI).

104. როგორც წესი, მიუკერძოებლობა გულისხმობს წინასწარ შექმნილი შეხედულებებისა თუ გავლენების არ ქონას. სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუკერძოებლობის არსებობა მე-6 §1 მუხლის მიზნებისათვის შემდეგი გარემოებების საფუძველზე უნდა დადგინდეს: (i) სუბიექტური ტესტით, რომლის თანახმად უნდა შეფასდეს კონკრეტული მოსამართლის პირადი მოსაზრებები და ქცევა- გააჩნდა თუ არა მოსამართლეს მოცემული საქმის შედეგით პირადი დაინტერესება ან ჰქონდა თუ არა მას წინასწარ შექმნილი უარყოფითი დამოკიდებულება; და (ii) ობიექტური ტესტი, რომლის თანახმად უნდა დადგინდეს სასამართლო სხვა ასპექტებთან ერთად მისი შემადგენლობა, უზრუნველყოფილი იყო თუ არა სასამართლო მიუკერძოებლობის თაობაზე საფუძვლიანი ეჭვების გამომრიცხავი სათანადო გარანტიებით (სხვა წყაროებს შორის, იხ. *Fey v. Austria*, 24 თებერვალი 1993, სერია A no. 255, §§ 28 და 30, და *Wettstein v. Switzerland*, no. 33958/96, § 42, ECHR 2000-XII).

105. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, წყალგამყოფი სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის არ არსებობს, ვინაიდან მოსამართლის ქმედებამ გარე დამკვირვებლის თვალში შეიძლება გამოიწვიოს ობიექტურად გამართლებული ეჭვები მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით (ობიექტური ტესტი), თუმცა მოსამართლის ქმედება ამავდროულად შესაძლოა მის პირად მოსაზრებებს უკავშირდებოდეს (სუბიექტური ტესტი) (იხ. *Kyprianou v. Cyprus* [GC], no. 73797/01, § 119, ECHR 2005-XIII). შესაბამისად, იმ შემთხვევებში, სადაც რთულია მოსამართლის სუბიექტური მიუკერძოებლობის შესახებ პრეზუმფციის საწინააღმდეგო მტკიცებულების მოპოვება, ობიექტური მიუკერძოებლობის მოთხოვნები მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს (იხ. *Pullar v. the United Kingdom*, 10 ივნისი 1996, § 32, ანგარიში 1996-III).

106. ამ მხრივ, გარეგან გამოვლინებებსაც შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს, სხვა სიტყვებით, „ მართლმსაჯულება არა მარტო უნდა განხორციელდეს, არამედ ასევე უნდა ჩანდეს რომ ის ხორციელდება“. საფრთხის ქვეშ დგება ნდობა, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში სასამართლოებმა უნდა ჩაუნერგონ ხალხს (იხ. *De Cubber v. Belgium*, 26 ოქტომბერი 1984, § 26, სერია A no. 86).

107. და ბოლოს, დამოუკიდებლობისა და ობიექტური მიუკერძოებლობის ცნებები მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებულია და, გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლოა ერთობლივ შესწავლას საჭიროებდეს (იხ. *Sacilor-Lormines v. France*, no. 65411/01, § 62, ECHR 2006-XIII). წინამდებარე საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის საკითხის ერთობლივ განხილვას.

108. სასამართლომ აღნიშნა, (იხ. ზემოთ პარაგრაფები 89 და 90) რომ “იუს” -ომ და პარლამენტმა განიხილეს მომჩივნის საქმე და მიიღეს სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილება. შემდგომ “უას” -მ აღნიშნული ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გადასინჯა. ამიტომ, სასამართლო, პირველ რიგში, განიხილავს,

თუ რამდენად იყო დაცული დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს პრინციპი მომჩივნის საქმის განხილვის და სავალდებულო გადაწყვეტილების გამოტანის ეტაპზე.

(i) *მომჩივნის საქმეზე გადაწყვეტილების გამომტანი ორგანოების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა*

(ა) “იუს“

109. სასამართლომ დაადგინა, რომ როდესაც სასამართლოს წევრთა ნახევარი მოსამართლეებისაგან შედგება და მათგან ერთ-ერთს თავმჯდომარის პოსტი უკავია გამამწყვეტი ხმის უფლებით, აღნიშნული გარემოება მიუკერძოებლობის საკმარის მაჩვენებელს წარმოადგენს (იხ. *Le Compte, Van Leuven and De Meyere v. Belgium*, 23 ივნისი 1981, § 58, სერია A no. 43). უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეების წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოებისას, საქმის განმხილველი შესაბამისი სადისციპლინო ორგანოს შემადგენელ წევრთა დიდი რაოდენობა მოსამართლეებს უნდა წარმოადგენდნენ, აღნიშნულის საჭიროება ასევე აღიარებულია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ ევროპული ქარტიით (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 78).

110. სასამართლო აღნიშნავს, რომ კონსტიტუციის 131-ე მუხლისა და “იუს“ შესახებ 1998 წლის კანონის თანახმად, “იუს“ 20 წევრისგან შედგება, რომელთაც ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოები ნიშნავენ. ამასთან, აქ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მათგან სამ წევრს პირდაპირ ნიშნავს უკრაინის პრეზიდენტი, დანარჩენ სამ წევრს ნიშნავს უკრაინის პარლამენტი და ორ წევრს ნიშნავს უკრაინის პროკურორთა საყოველთაო კონფერენცია. იუსტიციის მინისტრი და გენერალური პროკურორი “იუს“ *ex officio* წევრები არიან. კონსტიტუციაში და “იუს“ შესახებ კანონში ასახული პრინციპებიდან გამომდინარეობს, რომ “იუს“ წევრთა უმრავლესობას წარმოადგენენ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ პირდაპირი გზით დანიშნული პირები, რომლებიც არ წარმოადგენენ სასამართლო ხელისუფლებას.

111. მომჩივნის საქმე გადაწყვიტა “იუს“ თექვსმეტმა წევრმა, რომლებიც საქმის განხილვას ესწრებოდნენ და მათგან მხოლოდ სამი წევრი იყო მოსამართლე. შესაბამისად, მომჩივნის საქმის განხილვისას “იუს“ წევრთა უმცირესობას მოსამართლეები შეადგენდნენ (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 24).

112. 2010 წლის 7 ივლისს “იუს“ შესახებ 1998 წლის კანონში შესული ცვლილებების თანახმად, განისაზღვრა, რომ “იუს“ ათი წევრი სასამართლო კორპუსის შემადგენლობიდან უნდა დანიშნულიყო. თუმცა, აღნიშნულმა ცვლილებებმა მომჩივნის საქმეზე გავლენა არ იქონია. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილებები საკმარისი არ იყო, ვინაიდან არ იცვლებოდა “იუს“ წევრთა დამნიშნელი ორგანოები. მოსამართლეთა კორპუსს მხოლოდ სამი მოსამართლის არჩევის უფლება მიეცა. სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანოების მხრიდან “იუს“

შემადგენლობაზე ზეგავლენის მოხდენის შემცირების მნიშვნელობის გათვალისწინებით და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესაბამისი დონის უზრუნველყოფის საჭიროებიდან გამომდინარე, საკითხი, თუ როგორ ხდება მოსამართლეთა დანიშვნა დისციპლინარულ საკითხთა განმხილველ ორგანოში, ასევე რელევანტურია სასამართლოს თვითმმართველობისათვის. როგორც ვენეციის კომისიის მიერ იქნა აღნიშნული, განხორციელებულმა ცვლილება/დამატებებმა ზემოაღნიშნული საკითხი ვერ გადაჭრა, ვინაიდან დანიშვნას უწინდებურად ახორციელებდნენ ხელისუფლების სხვა ორგანოები და არა თავად მოსამართლეთა კორპუსი (იხ. ვენეციის კომისიის მოსაზრებების 28 და 29 პარაგრაფები, ზემოთ მითითებული პარაგრაფი 79).

113. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ “იუს“ შესახებ 1998 წლის კანონის მე-19 მუხლის თანახმად, “იუს“ მხოლოდ ოთხი წევრი მუშაობს “იუს“ -ში სრულ განაკვეთზე. დანარჩენი წევრები მუშაობას აგრძელებენ და ხელფასს ღებულობენ “იუს“ გარეთ, რაც გარდაუვალად იწვევს მათ დამოუკიდებულებას მატერიალური, იერარქიული და ადმინისტრაციული თვალსაზრისით მათ ძირითად დამქირავებლებზე და საფრთხის ქვეშ აყენებს მათ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება იუსტიციის მინისტრს და გენერალურ პროკურორს, რომლებიც “იუს“ *ex officio* წევრები არიან, ვინაიდან მათთვის ძირითადი სამსახურის დაკარგვა ავტომატურად იწვევს “იუს“ -ს წევრობიდან გათავისუფლებას.

114. სასამართლო მიუთითებს ვენეციის კომისიის მოსაზრებაზე, რომელიც წუხილს გამოთქვამს გენერალური პროკურორის “იუს“ შემადგენლობაში *ex officio* წევრად ჩართვის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნულს შეიძლება გააჩნდეს შემაკავებელი ეფექტი მოსამართლეებზე და პოტენციურ საფრთხედ აღიქმებოდეს. გენერალური პროკურორი წარმოადგენს პროკურატურის სისტემაში იერარქიულად ყველაზე მაღლა მდგომს და ყველა პროკურორს ზედამხედველობს. თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, პროკურორები მონაწილეობას ღებულობენ ისეთ საქმეებში, რომლებზეც მოსამართლეებს გამოაქვთ გადაწყვეტილებები. გენერალური პროკურორის მონაწილეობა იმ ორგანოს საქმიანობაში, რომლის ფუნქციაა მოსამართლეთა დანიშვნა, დისციპლინური სახდელების დაკისრება და გათავისუფლება, ქმნის საფრთხეს, რომ მოსამართლეები მიუკერძოებლად არ იმოქმედებენ ასეთ შემთხვევებში ან გენერალური პროკურორი არ იმოქმედებს მიუკერძოებლად იმ მოსამართლეებთან მიმართებით, რომელთა მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებსაც არ იზიარებს (იხ. ვენეციის კომისიის მოსაზრებების 30-ე პარაგრაფი, ზემოთ მითითებული პარაგრაფი 79). იგივე ეხება “იუს“ სხვა წევრებს, რომელთაც უკრაინის პროკურორების საყოველთაო კონფერენცია ნიშნავს ქვოტის საფუძველზე. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ გამოთქმული წუხილი ნათელს ჰფენს აღნიშნულ საკითხს (იხ. ანგარიშის 42-ე პარაგრაფი, ზემოთ მითითებული პარაგრაფი 80).

115. სასამართლო დამატებით შენიშნავს, რომ “იუს“ წევრებმა, რომლებმაც განახორციელეს წინასწარი მოკვლევა მომჩივნის საქმეზე და წარადგინეს

შუამდგომლობები მომჩივნის გათავისუფლების თაობაზე (რ.კ. და ვ.კ.), მოგვიანებით მონაწილეობა მიიღეს მომჩივნის გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში. მეტიც, ერთ-ერთი მათგანი (ვ.კ.) “იუს” თავმჯდომარის პოსტზე აირჩიეს და ის მომჩივნის საქმის განხილვას თავმჯდომარეობდა. აღნიშნული წევრების როლი მომჩივნის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაში, რომლის საფუძველი მათ მიერვე წარმოებული წინასწარი მოკვლევა იყო, ობიექტურ ექვებს ბადებს მათ მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით მომჩივნის საქმის არსებითი განხილვის დროს (შეადარეთ *Werner v. Poland*, no. 26760/95, §§ 43 და 44, 15 ნოემბერი 2001).

116. მომჩივნის განცხადება “იუს” ზოგიერთი წევრის მისამართით, ამ უკანასკნელთა მიერ მისი საქმის შედეგებით დაინტერესების თაობაზე, ასევე განხილული უნდა იყოს მართლმსაჯულების საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის (ს.კ.) მიმართ, რომელიც ამავდროულად “იუს” წევრი იყო. პირველ რიგში, სასამართლო მიუთითებს, რომ ს.კ.-ს მიუძღვის წვლილი მომჩივნისთვის, “იუს” წევრის სტატუსით, ფიცის დადების პროცედურის განხორციელებაზე უარის თქმაში. მეორე, ს.კ.-ს მოსაზრება, რომელიც 2007 წლის 14 ივნისს პარლამენტის გაზეთში გამოქვეყნდა, ცხადყოფდა, რომ ის კატეგორიულად არ ეთანხმებოდა სასამართლოს დროებითი ხასიათის გადაწყვეტილებას პარლამენტის იმ რეზოლუციის არაკანონიერად ცნობის შესახებ, რომელიც სასამართლოების თავმჯდომარეებისა და მათი მოადგილეების დანიშვნის დროებით პროცედურას განსაზღვრავდა. მიუხედავად იმისა, რომ ს.კ.-ს არ გამოუთქვამს კრიტიკა მომჩივნის მისამართით, აშკარაა, რომ ის არ იწონებდა მომჩივნის საქციელს, რომელიც მოსარჩელეს წარმოადგენდა ზემოაღნიშნულ საქმეში. სასამართლო არ იზიარებს მთავრობის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული საჯარო განცხადება მომჩივნის წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გაცილებით ადრე გაკეთდა. იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობის მტკიცების თანახმად, ზემოაღნიშნულ ორ მოვლენას შორის შუალედი დაახლოებით ექვს თვეს შეადგენდა, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს პერიოდი არ არის საკმარისად ხანგრძლივი მიზეზობრივი კავშირის გამოსარიცხად.

117. შესაბამისად, წინამდებარე საქმის ფაქტები ავლენენ მთელ რიგ სერიოზულ პრობლემებს, რომლებიც მიუთითებენ საქმეთა განხილვისას “იუს” -ში არსებულ სტრუქტურულ ნაკლოვანებებზე, ისევე როგორც “იუს” ზოგიერთი წევრის მიკერძოებულობაზე, რომლებმაც მომჩივნის საქმეზე გადაწყვეტილება მიიღეს. სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ასკვნის, რომ “იუს” -ში წარმოებული პროცესები არ შეესაბამებოდა მე-6 §1 მუხლით დადგენილი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს.

(ბ) „დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა“ საპარლამენტო ეტაპზე

118. პარლამენტის- საკანონმდებლო ორგანოს, მიერ საქმის განხილვის დროს სტრუქტურული ნაკლოვანებები, რაც უკავშირდებოდა „დამოუკიდებლობისა და

მიუკერძოებლობის“ არ ქონას, არ იქნა აღმოფხვრილი, პირიქით, პარლამენტის მიერ საქმის განხილვამ პროცედურის პოლიტიზირებას შეუწყო ხელი და უფრო მეტად გააღრმავა პროცედურის შეუსაბამობა ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან.

- *საპარლამენტო კომიტეტი*

119. რაც შეეხება პროცესებს საპარლამენტო კომიტეტში, კომიტეტის თავმჯდომარე (ს.კ.) და კომიტეტის ერთ-ერთი წევრი ამავდროულად “იუს“ წევრები იყვნენ და ორივე დონეზე მონაწილეობა მიიღეს მომჩივნის საქმეზე გადაწყვეტილების მიღებაში. შესაბამისად, ისინი მიუკერძოებლად არ მოქმედებდნენ, როდესაც “იუს“ -ს მიერ წარდგენილ მიმართვებს განიხილავდნენ (იხ. *mutatis mutandis, Oberschlick v. Austria (no. 1)*, 23 მაისი 1991, §§ 50-52, სერია A no. 204). ამას გარდა, სასამართლოს მოსაზრებები მიუკერძოებლობის შესახებ, რომლებიც ზემოთ 116-ე პარაგრაფშია ასახული, თანაბრად ვრცელდება პროცესის ამ ეტაპზეც. უფრო მეტიც, სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული ის ფაქტი, რომ სწორედ ს.კ-მ, საპარლამენტო კომიტეტის სხვა ორ წევრთან ერთად, მიმართა “იუს“ , მომჩივნის მიერ სავარაუდო გადაცდომის ჩადენის ფაქტზე წინასწარი მოკვლევის ჩატარების მოთხოვნით.

120. ამავდროულად, “იუს“ -ს წევრებს არ შეეძლოთ განეხორციელებინათ თვითაცილება ამა თუ იმ საქმეში მონაწილეობისაგან, ვინაიდან თვითაცილების პროცედურას არ ითვალისწინებდა მოსამართლეთა (არჩევა და გათავისუფლება) შესახებ 2004 წლის კანონი. აღნიშნული მიუთითებს, რომ სამართალწარმოებისას არ მოქმედებდა ობიექტური მიუკერძოებლობის ტესტის შესაბამისი სათანადო გარანტიები.

- *პარლამენტის პლენარული სხდომა*

121. რაც შეეხება პარლამენტის პლენარულ სხდომას, პარლამენტის წევრების წინაშე მომჩივნის საქმეზე მოხსენება ს.კ.-მ და ვ.კ.-მ გააკეთეს (იხ. ზემოთ პარაგრაფი 27). მოხსენების დასრულების შემდეგ ადგილი ჰქონდა “იუს“ -სა და საპარლამენტო კომიტეტის დასკვნებიდან გამომდინარე ზოგადი მოსაზრებების გაცვლას აღნიშნულ საკითხზე. აღნიშნულ ეტაპზე მომჩივნის საქმეზე მიღებულ იქნა სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილება, “იუს“ და საპარლამენტო კომიტეტის მიერ მიღებული დასკვნების საფუძველზე.

122. მთლიანობაში, წინამდებარე საქმის ფაქტები მიუთითებენ, რომ პროცედურა საპარლამენტო სხდომაზე არ წარმოადგენდა სათანადო ფორუმს ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხების განსახილველად, მტკიცებულებათა თუ ფაქტების სამათლებრივად შესაფასებლად. მთავრობამ სათანადოდ ვერ განმარტა, თუ რაში გამოიხატებოდა პარლამენტში მსხდომი პოლიტიკოსების როლი, რომლებიც არ

იყვნენ ვალდებულები ჰქონოდათ სათანადო იურიდიული გამოცდილება დისციპლინური სამართალწარმოების დროს წარმოშობილი ფაქტებისა და რთული სამართლებრივი საკითხების გადასაწყვეტად. სასამართლო მიიჩნევს, რომ პლენარულ სხდომაზე მომჩივნის საქმის განხილვა არ შეესაბამებოდა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნებს კონვენციის მე-6 მუხლის საფუძველზე.

(ii) რამდენად გამოსწორდა „დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის“ ხარვეზები “უას” -ს მიერ

123. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს მიერ „სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების“ დავის განხილვა შესაძლოა გარკვეულწილად არ შეესაბამებოდეს მე-6 § 1 მუხლის მოთხოვნებს, სასამართლო არ დაადგენს კონვენციის დარღვევას, თუ აღწერილი სამართალწარმოება ექვემდებარება შემდგომ სასამართლო კონტროლს, რომელსაც გააჩნია სრული იურისდიქცია და უზრუნველყოფილია მე-6 § 1 მუხლის გარანტიებით“ (იხ. ზემოთ მითითებული, *Albert and Le Compte v. Belgium*, § 29, და *Tsfayo v. the United Kingdom*, no. 60860/00, § 42, 14 ნოემბერი 2006). იმისათვის, რომ დადგინდეს მეორადი კონტროლის სასამართლოს გააჩნდა თუ არა „სრული იურისდიქცია“ ან ადგილი ჰქონდა თუ არა „საქმის სათანადო გადასინჯვას“ პირველ ინსტანციაში დამოუკიდებლობის არ ქონასთან დაკავშირებული ხარვეზის გამოსასწორებლად, აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს ისეთი ფაქტორები, როგორცაა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დავის საგანი, ფორმა, რომლის დაცვითაც იქნა მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ასევე გასაჩივრების საფუძველები (იხ. *Bryan v. the United Kingdom*, 22 ნოემბერი 1995, §§ 44 - 47, სერია A no. 335-A, და ზემოთ მითითებული *Tsfayo*, § 43).

(ა) „საქმის სათანადო გადასინჯვა“

124. სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ მომჩივნის საქმის გადასინჯვა “უას” -ს მიერ იყო სათანადო, შემდეგი მიზეზების გამო.

125. პირველი, იზადება კითხვა, თუ რამდენად შეეძლო “უას” -ს “იუს” -ს და პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სათანადო გადასინჯვა იმ პირობებში, როდესაც “უას” უფლებამოსილი იყო გამოეცხადებინა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უკანონოდ, თუმცა არ იყო უფლებამოსილი გაეუქმებინა ისინი და მიეღო შემდგომი ადეკვატური ნაბიჯები, აღნიშნულის საჭიროების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივ შედეგი არ დგება “უას” -ს მიერ გადაწყვეტილების უკანონოდ ცნობის საფუძველზე, სასამართლო თვლის, რომ “უას” -ს უუნარობა ოფიციალურად გააუქმოს სადავო გადაწყვეტილებები და წესების არარსებობა, რომელიც დაარეგულირებდა დისციპლინური სამართალწარმოების შემდგომ ეტაპებს, იწვევს გაურკვევლობას

“უას“ -ს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების რეალურ სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით.

126. სასამართლო პრაქტიკა, რომელიც განვითარდა აღნიშნული კუთხით შესაძლოა მიმთითებელი იყოს. მთავრობამ წარადგინა ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული ორი სასამართლო გადაწყვეტილების ასლი. თუმცა, აღნიშნული ნიმუშებიდან ირკვევა, რომ მას შემდეგ რაც “უას“ მოსამართლის გათავისუფლებას უკანონოდ სცნობდა, მოსარჩელები სამსახურში აღდგენის მოთხოვნით დამოუკიდებელ სასამართლო პროცესებს იწყებდნენ. მთავრობის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილებები არ ჰფენს ნათელს საკითხს, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება (კერძოდ, რა ღონისძიებების უნდა მიმართოს შესაბამისმა ორგანოებმა სადავო გადაწყვეტილებების უკანონოდ აღიარების შემდეგ და რა ვადებში უნდა იქნას აღნიშნული ღონისძიებები მიღებული), თუმცა ამავედროულად მიუთითებენ, რომ მოსამართლის თანამებობაზე ავტომატურ აღდგენას არ აქვს ადგილი მარტოდენ “უას“ დეკლარაციული ხასიათის გადაწყვეტილების საფუძველზე. შესაბამისად, წარმოდგენილი მასალები მიუთითებს, რომ “უას“ მიერ ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტას გააჩნია შეზღუდული შედეგი და აძლიერებს სასამართლოს ეჭვებს, იმასთან დაკავშირებით, რომ “უას“ -ს შესწევს უნარი წარმართოს მოცემული საკითხი ეფექტურად და უზრუნველყოს საქმის სათანადო განხილვა.

127. მეორე, მხედველობაში იღებს რა მომჩივნის საქმეზე “უას“ -ს მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმას და დავის საგანს, სასამართლო აღნიშნავს, რომ “უას“ -ომ სათანადოდ არ შეაფასა მომჩივნის მიერ დაყენებული მნიშვნელოვანი არგუმენტები. კერძოდ, სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივნის განცხადებები “იუს“ -ს და საპარლამენტო კომიტეტის შემადგენელი წევრების მიკერძოებულობაზე “უას“ -ომ სათანადო გულმოდგინებით არ განიხილა. მთავრობის მტკიცება ამ მხრივ არ რის დამაჯერებელი.

128. მეტიც, სინამდვილეში “უას“ არ შეეცადა შეესწავლა მომჩივნის არგუმენტაცია იმის თაობაზე, რომ პარლამენტის გადაწყვეტილება მისი გათავისუფლების შესახებ არ შეესაბამებოდა პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ 1992 წლის კანონსა და პარლამენტის რეგლამენტს, მიუხედავად იმისა, რომ “უას“ გააჩნდა აღნიშნულის კომპეტენცია (იხ. ზემოთ მითითებული, ადმინისტრაციული მართმსაჯულების კოდექსის მუხლი 171-188 1 და მუხლი 5) და მომჩივანი ხაზგასმით აყენებდა მოცემულ საკითხს მის მიერ წარდგენილ სარჩელში, რომელსაც შესაბამისი მტკიცებულებაც დაურთო (იხ. ზემოთ, პარაგრაფები 29 და 33). “უას“ -ს მიერ არ მომხდარა მომჩივნის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების შეფასება. მომჩივნის განცხადებები პარლამენტში კენჭისყრის პროცედურის უკანონობასთან დაკავშირებით “უას“ -ს მიერ ინტერპრეტირებული იქნა, როგორც სარჩელი შესაბამისი საპარლამენტო რეზოლუციის კონსტიტუციურობასთან შეუსაბამობის თაობაზე. ასეთი მიდგომით “უას“ -მ თავი აარიდა საკითხის განხილვას იმ მოტივით, რომ აღნიშნული საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნებოდა, თუმცა მომჩივანს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი პირდაპირი გზით მიმართვის

უფლება არ ჰქონდა (იხ. *Bogatova v. Ukraine*, no. 5231/04, § 13, 7 ოქტომბერი 2010, შემდგომი მითითებებით).

129. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, სასამართლო მიიჩნევს, რომ “უას“ -ს მიერ მომჩივნის საქმის გადასინჯვა არ იყო სათანადო და ვერ გამოასწორა პროცედურულ სამართლიანობასთან დაკავშირებული დეფექტები, რომელთადაც ეროვნული სასამართალწარმოების ადრინდელ ეტაპებზე ჰქონდა ადგილი.

(ბ) დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მოთხოვნები “უას“ -ს მიერ გადასინჯვის ეტაპზე

130. სასამართლო შენიშნავს, რომ სასამართლო გადასინჯვა განახორციელეს მოსამართლეებმა, რომლებიც ასევე ექცეოდნენ “იუს“ -ს დისციპლინური იურისდიქციის ქვეშ. ეს ნიშნავს, რომ მოცემული მოსამართლეები ასევე შეიძლებოდა დაქვემდებარებოდნენ დისციპლინურ სამართალწარმოებას “იუს“ -ს წინაშე. “იუს“ -ს ფართო უფლებამოსილების გათვალისწინებით მოსამართლეთა კარიერის მხრივ (დანიშვნა, დისციპლინური სახდელების დაკისრება და გათავისუფლება) და “იუს“ დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისათვის გარანტიების არ ქონა (მიმოხილულია ზემოთ), სასამართლოს არ არწმუნებს, რომ “უას“ -ს მოსამართლეები მომჩივნის საქმის განხილვისას, რომელშიც “იუს“ მხარეს წარმოადგენდა, შეიძლებოდა ყოფილიყვნენ „დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი“ კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნათა თანახმად.

(iii) დასკვნა

131. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს მომჩივნის საქმეზე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღება და მისი საქმის შემდგომი გადასინჯვით აღნიშნული დეფექტები არ გამოსწორდა. ამიტომ ადგილი აქვს კონვენციის მე-6§1 მუხლის დარღვევას.

2. *სამართლებრივი განსაზღვრულობის პრონციპთან შესაბამისობა მომჩივნის წინააღმდეგ სამართალწარმოების ხანდაზმულობის ვადის არ არსებობის გამო*

(ა) მხარეთა მოსაზრებები

132. მომჩივანი ჩიოდა, რომ მისი საქმის წარმოება “იუს“ -ში არ იყო სამართლიანი, ვინაიდან ის არ განხორციელებულა “იუს“ შესახებ 1998 წლის კანონის მეოთხე თავით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, რომელიც მოიცავდა არა ერთ მნიშვნელოვან პროცედურულ გარანტიას, მათ შორის ხანდაზმულობის ვადებს

დისციპლინური სასჯელებისთვის. ამავდროულად, “უას“ -მ სათანადოდ ვერ დაასაბუთა, თუ რატომ გამოიყენა ზემოაღნიშნულისგან განსხვავებული პროცედურა.

133. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ხანდაზმულობის ვადის გამოყენება მის საქმეში მნიშვნელოვანი იყო სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის დაცვის მიზნით. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა დაარღვიეს მისი უფლება სამართლიან განხილვაზე, როდესაც არ გამოიყენეს ხანდაზმულობის ვადა მის საქმეში.

134. მთავრობა არ დაეთანხმა აღნიშნულ საჩივარს და განაცხადა, რომ მოსამართლის სამართლებრივი სტატუსი მოიცავდა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიას, ისევე როგორც მისი პასუხისგებაში მიცემის შესაძლებლობას უფლება-მოვალეობების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ვინაიდან „ფიცის დარღვევა“ წარმოადგენდა სერიოზულ სამართალდარღვევას, ხანდაზმულობის ვადა მომჩივნის პასუხისგებაში მიცემის მიზნით არ გამოიყენებოდა.

(ბ) სასამართლოს შეფასება

135. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის პრეტენზია გამოყენებულ პროცედურასთან მიმართებით ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საკითხს წარმოადგენს, რაც ეროვნული ხელისუფლების ორგანოთა დისკრეციის სფეროს განეკუთვნება. თუმცა, სასამართლო ამოწმებს, თუ რამდენად წარმოშობს ფორმა, რომლის გამოყენებით ხდება ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია, კონვენციის პრინციპებთან შესაბამის შედეგებს, რომლებიც სასამართლოს პრეცედენტული სამართლითაა დამკვიდრებული (იხ. *Scordino v. Italy (no. 1)* [GC], no. 36813/97, §§ 190 და 191, ECHR 2006-V).

136. სასამართლო მიიჩნევს, რომ “უას“ -ომ სათანადოდ დაასაბუთა, თუ რატომ განიხილა საქმე მომჩივნის მიერ მითითებული პროცედურისგან განსხვავებული პროცედურის გამოყენებით (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 37). განსხვავებული პროცედურის გამოყენება არ იყო გაუთვალისწინებელი, უკანონო ან აშკარად დაუსაბუთებელი. თუმცა, გასარკვევია საკითხი, თუ რამდენად იქონია გავლენა საქმის სამართლიანი განხილვის უფლებაზე მომჩივნის მიერ მითითებული კონკრეტული გარანტიის უქონლობამ, კერძოდ, მოსამართლის მიერ „ფიცის დარღვევის“ საფუძველზე დისციპლინური სახდელის დაკისრების ხანდაზმულობის ვადის არ არსებობამ.

137. სასამართლო აცხადებს, რომ ხანდაზმულობის ვადა რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს ემსახურება, კერძოდ, ის უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობას, იცავს პოტენციურ მოპასუხეებს დროულად განუცხადებელი საჩივრებისგან, რომელთა განხილვის შემთხვევაშიც რთული იქნებოდა სამართლიანობის დადგენა, ვინაიდან სასამართლოებს მოუწევდათ გადაწყვეტილების მიღება იმ მოვლენების ირგვლივ, რომელთაც შორეულ წარსულში ჰქონდა ადგილი და იმ მტკიცებულების საფუძველზე, რომელმაც, სავარაუდოდ

დროის გასვლის გამო, სანდოობა დაკარგა და სრულფასოვან მტკიცებულებად ვერ განიხილება (იხ. *Stubbings and Others v. the United Kingdom*, 22 ოქტომბერი 1996, § 51, ანგარიში 1996-IV). ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ეროვნული სამართლებრივი სისტემებისთვის დამახასიათებელია ხანდაზმულობის ვადების არსებობა სისხლისსამართლებრივ, დისციპლინურ და სხვა სამართალდარღვევებთან მიმართებით.

138. რაც შეეხება მომჩივნის საქმეს, “იუს” -მ 2010 წელს განიხილა ის ფაქტები, რომელთაც 2003 და 2006 წლებში ჰქონდათ ადგილი (იხ. ზემოთ, პარაგრაფები 17 და 18). შესაბამისად, მომჩივანი რთულ სიტუაციაში იქნა ჩაყენებული, ვინაიდან მას თავის დაცვა უნდა აეგო იმ მოვლენებთან მიმართებით, რომელთა ნაწილს შორეულ წარსულში ჰქონდა ადგილი.

139. მომჩივნის საქმეზე “უას” -ს მიერ მიღებული გადაწყვეტილებიდან და მთავრობის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებიდან გამომდინარეობს, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დროის შეზღუდვებს „ფიცის დარღვევის“ საფუძველზე მოსამართლის გათავისუფლების მიზნით სამართალწარმოების დასაწყებად. სასამართლოს მიზანშეწონილად არ მიაჩნია ხანდაზმულობის ვადების ხანგრძლივობის მითითება, თუმცა მიიჩნევს, რომ დროში ასეთი შეუზღუდავი მიდგომა მოსამართლეთა წინააღმდეგ დისციპლინური სამართალწარმოებისას, სერიოზულ საფრთხეს უქმნის სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპს.

140. აღნიშნულ ვითარებაში, სასამართლო ადგენს, რომ კონვენციის მე-6§1 მუხლის დარღვევას აქვს ადგილი.

3. პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის დაცვა

(ა) მხარეთა მოსაზრებები

141. მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ პარლამენტმა მისი გათავისუფლების შესახებ გადაწყვეტილება კანონის აშკარა დარღვევით მიიღო, რაც კენჭისყრის ელექტრონული სისტემის ბოროტად გამოყენებაში გამოიხატებოდა. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ პლენარულ სხდომაზე მისი გათავისუფლების თაობაზე ხმის მიცემის პროცედურის დროს, პარლამენტის ზოგიერთმა წევრმა უკანონოდ მისცა ხმა, პარლამენტის იმ წევრთა ნაცვლად, რომლებიც სხდომაზე არ იმყოფებოდნენ. აღნიშნულის დასტურად, მომჩივანი მიუთითებდა პარლამენტის პლენარული სხდომის ვიდეო ჩანაწერსა და პარლამენტის ოთხი წევრის მიერ მიცემულ ნოტარიულად დამოწმებულ ჩვენებებზე.

142. მთავრობამ აღნიშნა, რომ პარლამენტის გადაწყვეტილება მომჩივნის სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე კანონიერი იყო და რომ მომჩივნის მიერ წარმოდგენილი საწინააღმდეგო მტკიცებულება ვერ ჩაითვლებოდა სანდო წყაროდ,

ვინაიდან მისი ავთენტურობა არ ყოფილა შემოწმებული ეროვნული ხელისუფლების მიერ.

(ბ) სასამართლოს შეფასება

143. სასამართლო მიუთითებს, რომ პროცედურული წესების მიზანია მართლმსაჯულების სათანადოდ ადმინისტრირება და სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის დაცვა, შესაბამისად მხარეებს გააჩნიათ მოლოდინი, რომ ზემოაღნიშნული პრინციპები იქნება დაცული. სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპი გამოიყენება არა მარტო მხარეებთან, არამედ ეროვნულ სასამართლოებთან მიმართებითაც (იხ. *Diya 97 v. Ukraine*, no. 19164/04, § 47, 21 *ოქტომბერი* 2010, with further references). ეს პრინციპი თანაბრად გამოიყენება მომჩივნის გათავისუფლების მიზნით წარმოებულ პროცედურებში, მათ შორის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გადაწყვეტილებების მიღების დროს.

144. სასამართლო აღნიშნავს, რომ ფაქტები, რომლებიც საფუძვლად უდევს აღნიშნულ საჩივარს, დასტურდება მომჩივნის ჩვენებით, რომელიც აკვირდებოდა პლენარულ სხდომაზე ხმის მიცემის პროცედურას, ასევე პარლამენტის ოთხი წევრის ნოტარიულად დამოწმებული ჩვენებებით და პლენარული სხდომის ვიდეო ჩანაწერით. მთავრობას არ წარმოუდგენია რაიმე დამაჯერებელი არგუმენტი, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა აღნიშნული მტკიცებულებების ავთენტურობას. სასამართლოს არ გააჩნია მიზეზები, იმისათვის რომ წარმოდგენილი მტკიცებულებები სარწმუნოდ არ მიიჩნიოს.

145. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შესწავლის შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მომჩივნის გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილებას კენჭი ეყარა პარლამენტის წევრთა უმრავლესობის არ ყოფნის პირობებში. სხდომაზე დამსწრე პარლამენტარებმა განზრახ და უკანონოდ რამდენჯერმე მისცეს ხმა სხდომაზე არ მყოფი კოლეგების ნაცვლად. შესაბამისად, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა კონტიტუციის 84-ე მუხლის, პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ 1992 წლის კანონის 24-ე მუხლისა და პარლამენტის რეგლამენტის 47-ე მუხლების დარღვევით, რომელთა თანახმად პარლამენტის წევრებმა პერსონალურად უნდა მიიღონ მონაწილეობა სხდომებსა და ხმის მიცემის პროცედურაში. აღნიშნულ ვითარებაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივნის გათავისუფლების შესახებ ხმის მიცემის პროცედურა წარმოადგენდა სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევას, კონვენციის მე-6§1 მუხლის საწინააღმდეგოდ.

146. როგორც ზემოთ აღინიშნა, პროცედურულ სამართლიანობასთან დაკავშირებული დეფექტები არ იქნა გამოსწორებული სამართალწარმოების შემდგომ ეტაპზეც, ვინაიდან “უას” -მ ვერ უზრუნველყო აღნიშნულ საკითხზე სათანადო რეაგირება.

147. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6§1 მუხლის დარღვევას.

4. „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ პრინციპის დაცვა

(ა) მხარეთა მოსაზრებები

148. მომჩივანი დავობდა, რომ მისი საქმე არ განიხილა „კანონის საფუძველზე შექმნილმა სასამართლომ“. „უას“ -ს პალატის შემადგენლობასთან დაკავშირებით, რომელმაც განიხილა მომჩივნის საქმე, მომჩივანი აცხადებდა, რომ „უას“ -ს თავმჯდომარის მიერ აღნიშნული პალატის შემადგენლობის დაკომპლექტების დროისათვის, მისი თავმჯდომარეობის ვადა ამოწურული იყო და ის აგრძელებდა აღნიშნულ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე საქმიანობას ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე.

149. მთავრობამ განაცხადა, რომ უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ „უას“ თავმჯდომარე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლებას ექვემდებარებოდა. მიუხედავად ამისა, იმ ვითარებაში, როდესაც არ მოქმედებდა შესაბამისი პროცედურები ადმინისტრაციული თანამდებობიდან მოსამართლის გათავისუფლებისათვის, ნებისმიერი ქმედება მის გათავისუფლებასთან კავშირში ჩაითვლებოდა უკანონოდ. მთავრობა დამატებით აცხადებდა, რომ ადმინისტრაციული სასამართლოების მოსამართლეთა კონფერენციამ თავისი გადაწყვეტილებით მხარი დაუჭირა „უას“ თავმჯდომარისათვის უფლებამოსილების გაგრძელებას აღნიშნულ თანამდებობაზე.

(ბ) სასამართლოს შეფასება

150. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლში აღნიშნული ტერმინის- „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო“ ობიექტია უზრუნველყოფა იმისა, „რომ სასამართლო სისტემა დემოკრატიულ საზოგადოებაში არ არის დამოკიდებული აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე, არამედ ის რეგულირდება პარლამენტიდან გამომდინარე კანონით“. ასევე, იმ ქვეყნებში, სადაც კანონები კოდიფიცირებულია, სასამართლო სისტემა არ შეიძლება დამოკიდებული იყოს სასამართლო ხელისუფლების დისკრეციაზე, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოებს არ გააჩნიათ გარკვეული თავისუფლება ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციის მიზნით (იხ. *Fruni v. Slovakia*, no. 8014/07, §134, 21 ივნისი 2011, შემდგომი მითითებებით).

151. ფრაზა „კანონის საფუძველზე შექმნილი“ მოიცავს არა მხოლოდ სამართლებრივ საფუძვლებს „სასამართლოს“ არსებობისათვის, არამედ სასამართლოს შემადგენლობას თითოეულ საქმეში (იხ. *Buscarini v. San Marino* (dec.), no. 31657/96, 4 მაისი 2000, და *Posokhov v. Russia*, no. 63486/00, § 39, ECHR 2003-IV). პრაქტიკა, რომლის თანახმად იგულისხმებოდა, რომ მოსამართლეებს განუსაზღვრელი ვადით უგრძელდებოდათ უფლებამოსილება, უფლებამოსილების კანონით გათვალისწინებული ვადების ამოწურვის შემდეგ, იმ დრომდე, სანამ მოხდებოდა მათი ხელმეორე დანიშვნა, არღვევს „კანონის საფუძველზე შექმნილი

სასამართლოს“ პრინციპს (იხ. *Gurov v. Moldova*, no. 36455/02, § 37-39, 11 ივლისი 2006).

152. რაც შეეხება მოცემულ საქმეს, უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული მართლმსაჯულების კოდექსის 171-1 მუხლის საფუძველზე, მომჩივნის საქმის განხილვა შეეძლო ექსკლუზიურად “უას“ -ს სპეციალურ პალატას. სასამართლო სისტემის შესახებ 2002 წლის კანონის 41-ე მუხლის თანახმად, აღნიშნული პალატა იქმნება “უას“ -ს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ; აღნიშნული პალატის პერსონალური შემადგენლობა განსაზღვრა “უას“ -ს თავმჯდომარემ, ხოლო შემდეგ სასამართლოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა. აღნიშნული დროისათვის, წინამდებარე საქმეზე, “უას“ -ს თავმჯდომარეს ამოწურული ჰქონდა უფლებამოსილების განხორციელებისათვის დადგენილი ხუთწლიანი ვადა.

153. აღნიშნული დროისათვის, ეროვნული კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული სასამართლოების თავმჯდომარეთა დანიშვნის პროცედურა: სასამართლო სისტემის შესახებ 2002 წლის კანონის მე-20 მუხლი, რომელიც სასამართლოების ტავმჯდომარეთა დანიშვნას ეხებოდა, კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ იქნა ცნობილი, ხოლო ახალი დებულებები იმ დროისათვის პარლამენტს არ ჰქონდა მიღებული (იხ. ზემოთ, პარაგრაფები 41 და 49). ეროვნული ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებმა გამოხატეს თავიანთი მოსაზრებები შექმნილ სამართლებრივ სიტუაციაზე. მაგალითად, უკრაინის მოსამართლეთა საბჭომ, რომელიც სასამართლო თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოა, მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო სასამართლო სისტემის შესახებ 2002 წლის კანონის 41 § 5 მუხლის საფუძველზე და რომ “უას“ -ს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, მოსამართლე ს.-ს უნდა შეესრულებინა აღნიშნული სასამართლოს ტავმჯდომარის უფლება-მოსილებანი (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 51), გენერალურმა პროკურატურამ კი აღნიშნული საკითხი სხვაგვარად შეაფასა (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 52).

154. შესაბამისად, ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორცაა სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნა, დელეგირებული იქნა ეროვნული პრაქტიკის დონეზე, თუმცა აღმოჩნდა, რომ ეს საკითხი ხელისუფლების ორგანოთა შორის სერიოზული დავის საგანს წარმოადგენდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მოსამართლე პ. აგრძელებდა “უას“ -ს თავმჯდომარის უფლებამოვალეობების შესრულებას კანონით დადგენილი უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შემდეგ, და აღნიშნულის საფუძველად ეყრდნობოდა იმ გარემოებას, რომ ხელმეორედ დანიშვნის პროცედურა უკრაინის კანონმდებლობით არ იყო გათვალისწინებული, მაშინ როდესაც არ არსებობდა საკმარისი სამართლებრივი საფუძველები “უას“ თავმჯდომარის უფლება-მოვალეობების განხორციელებისათვის.

155. ამასობაში, მოსამართლე პ.-მ მოქმედებდა რა “უას“ -ს თავმჯდომარის სტატუსით, შექმნა პალატა, რომელმაც მომჩივნის საქმე განიხილა და წარადგინა რეკომენდაციები აღნიშნული პალატის პერსონალური შმადგენლობის დაკომპლექტების მიზნით.

156. აღნიშნულ ვითარებაში, სასამართლო ადგენს, რომ პალატა, რომელმაც განიხილა მომჩივნის საქმე, არ შექმნილა და მისი შემადგენლობა არ განსაზღვრულა „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ მოთხოვნათა დაცვით. შესაბამისად, ადგილი აქვს კონვენციის მე-6§1 მუხლის დარღვევას.

5. კონვენციის მე-6§1 მუხლის სხვა დარღვევები

157. მომჩივანი დამატებით ასაჩივრებდა, რომ მის საქმეში გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა მტკიცებულებათა სათანადოდ შეფასების გარეშე და დაცვის მხარის მიერ დაყენებული არგუმენტები სათანადო მსჯელობის საგანი არ გამხდარა; „უას“ მიერ სათანადო კომპეტენციის არ ქონა გადაესინჯა „იუს“ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ეწინააღმდეგებოდა მის „უფლებას სასამართლოზე“; არ იყო დაცული მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

158. მთავრობა ზემოაღნიშნულს არ დაეთანხმა.

159. მხედველობაში იღებს რა ზემოაღნიშნულ მჯელობასა და დასკვნებს კონვენციის მე-6§1 მუხლის ფარგლებში, სასამართლოს მიაჩნია, რომ მომჩივნის ზემორე განცხადებებიდან რაიმე ცალკე საკითხი არ გამომდინარეობს. შესაბამისად, არ არსებობს აუცილებლობა იმისა, რომ ეს საკითხები ხელმეორედ იქნეს განხილული.

II. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

160. მომჩივანი ასაჩივრებდა, რომ მოსამართლის თანამდებობიდან მისი გათავისუფლება წარმოადგენდა სახელმწიფოს ჩარევას მის პირად და პროფესიულ ცხოვრებაში კონვენციის მე-8 მუხლის საწინააღმდეგოდ.

161. კონვენციის მე-8 მუხლის თანახმად:

“1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.

- დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწყესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.”

ა. დასაშვებობა

162. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად უსაფუძვლო კონვენციის 35 § 3 (ა) მუხლის მნიშვნელობით. ის ასევე არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა საფუძვლით. შესაბამისად, საჩივარი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

ბ. საქმის არსებითი მხარე

1. მხარეთა მოსაზრებები

163. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მის პირად ცხოვრებაში ჩარევას ჰქონდა ადგილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან მისი გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნული ჩარევა იყო უკანონო, ვინაიდან „ფიცის დარღვევის“ გამო პასუხისმგებლობის საფუძველები ძალიან ბუნდოვნად იყო ფორმულირებული. ეროვნული კანონმდებლობით არ იყო გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადები სამსახურიდან გათავისუფლების დისციპლინური წარმოებისთვის, შესაბამისად, არ იყო უზრუნველყოფილი თვითნებობისაგან დაცვის ადეკვატური გარანტიები. მეტიც, ეროვნული კანონმდებლობა არ განსაზღვრავდა დისციპლინური სახდელების შესაბამის გრადაციებს, რაც მათ გამოყენებას შესაძლებელს გახდიდა პროპორციულ საფუძველებზე. აღნიშნული მიზეზების გამო, ეროვნული კანონმდებლობა არ შეესაბამებოდა „კანონის ხარისხის“ მოთხოვნებს. მომჩივანი დამატებით ამტკიცებდა, რომ მისი საქმის გარემოებების გათვალისწინებით ჩარევა არ იყო აუცილებელი.

164. მთავრობამ აღიარა, რომ მომჩივნის სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენდა ჩარევას მის პირად ცხოვრებაში კონვენციის მე-8 მუხლის გაგებით. თუმცა, აღნიშნული ჩარევა გამართლებული იყო მე-8 მუხლის მეორე პარაგრაფით. კერძოდ, სამსახურიდან გათავისუფლება განხორციელდა ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, რომელიც საკმარისად განჭვრეტადი და ხელმისაწვდომი იყო. გარდა ამისა, ჩარევა აუცილებელი იყო საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) რამდენად იყო ჩარევა

165. მხარეები თანხმდებიან, რომ ჩარევას ჰქონდა ადგილი მომჩივნის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში. სასამართლოს არ გააჩნია რაიმე მიზეზი საწინააღმდეგოს დასადგენად. ის აღნიშნავს, რომ პირადი ცხოვრება „ მოიცავს ინდივიდის უფლებას ჩამოაყალიბოს და განავითაროს ურთიერთობები სხვა ადამიანებთან, მათ შორის პროფესიული და ბიზნეს ურთიერთობები“ (იხ. *C. v. Belgium*, 7 აგვისტო 1996, § 25, ანგარიში 1996-III). კონვენციის მე-8 მუხლი „ იცავს

უფლებას პიროვნულ განვითარებაზე და უფლებას სხვა ადამიანებთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებაზე“ (იხ. *Pretty v. the United Kingdom*, no. 2346/02, § 61, ECHR 2002-III). „პირადი ცხოვრების“ ცნება არ გამოირიცხავს პროფესიული თუ ბიზნეს ხასიათის საქმიანობებს. ადამიანთა უმრავლესობას გარე სამყაროსთან ურთიერთობების დამყარების ძირითადი შესაძლებლობა სამსახურებრივი საქმიანობის განმავლობაში ეძლევათ (იხ. *Niemietz v. Germany*, 16 დეკემბერი 1992, § 29, სერია A no. 251-B). შესაბამისად, პროფესიის ხელმისაწვდომობაზე დაწესებული შეზღუდვები „პირად ცხოვრებაზე“ ახდენენ გავლენას (იხ. *Sidabras and Džiautas v. Lithuania*, nos. 55480/00 და 59330/00, § 47, ECHR 2004-VIII და *Bigaeva v. Greece*, no. 26713/05, §§ 22-25, 28 მაისი 2009). ასევე, სამსახურიდან დათხოვნა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევას წარმოადგენს (იხ. *Özpınar v. Turkey*, no. 20999/04, §§ 43-48, 19 ოქტომბერი 2010). და ბოლოს, მე-8 მუხლი ასევე ეხება ღირსებისა და რეპუტაციის საკითხებს, როგორც პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების შემადგენელ ნაწილებს (იხ. *Pfeifer v. Austria*, no. 12556/03, § 35, 15 ნოემბერი 2007 და *A. v. Norway*, no. 28070/06, §§ 63 და 64, 9 აპრილი 2009).

166. მოსამართლის თანამდებობიდან მომჩივნის გათავისუფლებამ გავლენა იქონია სხვა პირებთან მისი ურთიერთობების ფართო სპექტრზე, მათ შორის პროფესიული ხასიათის ურთიერთობებზე. ასევე, აღნიშნული შეეხო მომჩივნის „შიდა წრეს“, ვინაიდან სამსახურის დაკარგვა მომჩივნისა და მისი ოჯახის მატერიალური კეთილდღეობაზე აისახებოდა. მეტიც, მომჩივნის გათავისუფლების მიზეზი, კერძოდ, მოსამართლის ფიცის დარღვევა, მის პროფესიულ რეპუტაციას შეეხო.

167. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ მომჩივნის სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენდა მისი პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევას კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით.

(ბ) რამდენად გამართლებული იყო ჩარევა

168. სასამართლომ შემდგომში უნდა განიხილოს ზემოაღნიშნული ჩარევა აკმაყოფილებდა თუ არა მე-8 მუხლის მე-2 პარაგრაფის პირობებს.

(i) ჩარევის კანონიერებასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები

169. გამონათქვამი „კანონის შესაბამისად“ მოითხოვს, რომ პირველი, სადავო ზომას გარკვეული საფუძველი გააჩნდეს ეროვნულ კანონმდებლობაში. მეორე, ის მოიცავს კანონის ხარისხს, რომლის თანახმად კანონი ხელმისაწვდომი უნდა იყოს პირისათვის და ამ უკანასკნელს მისთვის კანონის მოქმედების შედეგების განჭვრეტა უნდა შეეძლოს. კანონი უნდა შეესაბამებოდეს სამართლის უზენაესობას (იხ. სხვა

წყაროებს შორის, *Kopp v. Switzerland*, 25 March 1998, § 55, *Reports of Judgments and Decisions* 1998-II).

170. ფრაზა გულისხმობს, *inter alia*, რომ ეროვნული კანონმდებლობა უნდა იყოს საკმარისად განჭვრეტადი იმისათვის, რომ ინდივიდებს შესაძლებლობა ჰქონდეთ განსაზღვრონ, თუ რა გარემოებებში და რა პირობებში არის სახელმწიფო უფლებამოსილი გამოიყენოს ისეთი საშუალებები, რომლებიც გავლენას ახდენენ მათთვის კონვენციით დაცულ უფლებებზე (იხ. *C.G. and Others v. Bulgaria*, no. 1365/07, § 39, 24 აპრილი 2008). მეტიც, კანონი უნდა შეიცავდეს სამართლებრივი დაცვის გარანტიებს ხელისუფლების მიერ თვითნებური ჩარევის საწინააღმდეგოდ. აღნიშნულ კონტექსტში მნიშვნელოვანია პროცედურული გარანტიების არსებობა კანონში. თუ რა არის საჭირო გარანტიებით, გარკვეულწილად დამოკიდებულია, სულ მცირე, მოცემული ჩარევის ბუნებასა და ფარგლებზე (იხ. *P.G. and J.H. v. the United Kingdom*, no. 44787/98, § 46, ECHR 2001-IX).

(ii) *ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა*

171. სასამართლომ დაადგინა (იხ. ზემოთ პარაგრაფი 145), რომ პარლამენტის კენჭისყრა მომჩივნის სამსახურიდან გათავისუფლების გადაწყვეტილების შესახებ არ იყო კანონიერი ეროვნული კანონმდებლობის თვალსაზრისით. მარტოოდენ ეს დასკვნა საკმარისი იქნებოდა სასამართლოსთვის იმის დასადგენად, რომ მომჩივნის პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებაში ჩარევა არ იყო კანონის შესაბამისი კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით.

172. მიუხედავად ამისა, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს საჩივრის შემდგომ განხილვას და ადგენს, დაცული იყო თუ არა „კანონის ხარისხის“ მოთხოვნები.

(iii) *„კანონის ხარისხის“ მოთხოვნებთან შესაბამისობა*

173. მოცემული ნაწილის ქვეშ წარმოდგენილ მოსაზრებებში მხარეები მოქმედი კანონის განჭვრეტადობაზე დავობდნენ. ამ კუთხით, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2010 წლის 15 მაისამდე მოქმედი მატერიალური კანონი არ შეიცავდა „ფიცის დარღვევის“, როგორც სამართალდარღვევის განსაზღვრებას. აღნიშნული სამართალდარღვევის ფორმულირებისთვის გამოყენებულ იქნა მოსამართლის ფიცის ტექსტი, რომელიც გათვალისწინებულია მოსამართლის სტატუსის შესახებ 1992 წლის კანონის მე-10 მუხლში და იკითხება ასე: „საზეიმოდ ვაცხადებ, რომ მე ღირსეულად და ჯეროვნად შევასრულებ მოსამართლის ვალდებულებებს, მართლმსაჯულების განხორციელების დროს შებოჭილი ვიქნები მხოლოდ კანონით და ობიექტური და სამართლიანი ვიქნები.“

174. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსამართლის ფიცი ფართე დისკრეციას იძლევა სამართალდარღვევის „ფიცის დარღვევა“ ინტერპრეტაციის მიზნით. ახალი კანონმდებლობა სპეციალურად ეხება აღნიშნული სამართალდარღვევის ელემენტებს

(იხ. ზემოთ, პარაგრაფი 72, „იუს“ “ შესახებ 1998 წლის კანონის 32-ე მუხლი ცვლილებებით). მიუხედავად იმისა, რომ ახალი კანონმდებლობა არ გამოიყენება მომჩივნის საქმეზე, რელევანტურია აღინიშნოს, რომ „ფიცის დარღვევის“ განმარტება მოცემულ მუხლში დისციპლინური წარმოების ორგანოს უტოვებს ფართე დიკრეციას მოცემული საკითხის ირგვლივ (იხ. ასევე ზემოთ, პარაგრაფი 79, ვენეციის კომისიის მოსაზრებების შესაბამისი ამონარიდი).

175. თუმცა, სასამართლო აღიარებს, რომ ზოგიერთ სფეროში რთულია კანონის ფორმულირება აბსოლუტური სიზუსტით და გარკვეული ხარისხის მოქნილობა შესაძლოა სასურველიც იყოს, რათა საშუალება მიეცეს ეროვნულ სასამართლოებს განავითარონ სამართალი საკუთარი შეფასებების მიხედვით იმის თაობაზე, თუ რა საშუალებებია აუცილებელი თითოეული საქმის კონკრეტულ გარემოებებში (იხ. *Goodwin v. the United Kingdom*, 27 მარტი 1996, § 33, ანგარიში 1996-II). ეს ლოგიკური შედეგია პრინციპისა, რომ კანონი ზოგადი გამოყენების უნდა იყოს და რომ ნორმის ფორმულირება ყოველთვის ზუსტი არ არის. გადაჭარბებული სიზუსტის აცილების და შეცვლილ გარემოებებთან მისასადაგებლად სივრცის არსებობის საჭიროებამ გამოიწვია ის, რომ კანონების უმრავლესობა ფორმულირებულია ტერმინებით, რომელიც მეტნაკლებად ბუნდოვანია. ასეთი საკანონმდებლო აქტების ინტერპრეტაცია და გამოყენება პრაქტიკაზეა დამოკიდებული (იხ. *Gorzelik and Others v. Poland* [GC], no. 44158/98, § 64, ECHR 2004-I).

176. ზემოაღნიშნული კვალიფიკაციები, რომელიც ზღუდავს მოთხოვნას კანონების სიზუსტეზე, განსაკუთრებით რელევანტურია დისციპლინური წარმოების სფეროში. მართლაც, სამხედრო დისციპლინასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ შეუძლებელი იქნებოდა განსხვავებული ქცევის წესების დეტალურად შემუშავება. ამიტომ შესაძლებელია საჭირო იყო ხელისუფლებისთვის ასეთი წესების ფართედ განსაზღვრა (იხ. *Vereinigung demokratischer Soldaten Österreichs and Gubi v. Austria*, 19 დეკემბერი 1994, § 31, სერია A no. 302).

177. სხვა სახელმწიფოთა გამოცდილება მიუთითებს, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები ზოგადი ტერმინებითაა განსაზღვრული კანონმდებლობაში. ხოლო იქ სადაც აღნიშნული საკითხები ნორმატიული აქტებით დეტალურად არის გაწერილი, გამოყენებული საკანონმდებლო ტექნიკა და კანონის განჭვრეტადობა, როგორც წესი არ არის ხოლმე შესაბამისი (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 82).

178. მაშასადამე, დისციპლინური წესდების კონტექსტში, უნდა იყოს გონივრული მიდგომა ნორმის სიზუსტის შეფასებისას, ვინაიდან არსებობს ობიექტური აუცილებლობა იმისა, რომ ასეთი სამართალდარღვევების *actus reus* ზოგადი ენით იყოს ფორმირებული. სხვანაირად, ნორმა ვერ ამოწურავს საკითხს სრულყოფილად და საჭირო იქნება მისი მუდმივი გადასინჯვა და განახლება პრაქტიკაში წარმოშობილი მრავალი ახალი გარემოების საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემთხვევები, როდესაც კანონით დადგენილია იმ ქმედებათა ჩამონათვალი, რომელიც სამართალდარღვევას შეადგენს და როდესაც აღნიშნული გამიზნულია ზოგადი და მრავალჯერადი გამოყენებისთვის, არ უზრუნველყოფენ

კანონის განჭვრეტადობას. სხვა ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ საკანონმდებლო რეგულირების ხარისხსა და თვითნებობის საწინააღმდეგო სამართლებრივი დაცვის ადექვატურობაზე, იდენტიფიცირებული და განხილული უნდა იქნეს.

179. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო სამართლებრივი ნორმის ინტერპრეტირების სპეციალური და თანმიმდევრული პრაქტიკა წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომლის საფუძველზეც შეიძლება განისაზღვროს ნორმის განჭვრეტადობა (იხ. *Goodwin*, ზემოთ მითითებული, § 33). მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული დასკვნა გაკეთდა საერთო-სამართლის სისტემის კონტექსტში, სასამართლო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციის როლი სამართლებრივი ნორმების განჭვრეტადობის უზრუნველყოფის მიზნით არ შეიძლება შეუფასებელი დარჩეს სამოქალაქო-სამართლის სისტემებში. სწორედ ეს ორგანოები აყალიბებენ კანონის ზოგადი ნორმების ზუსტ შინაარსს თანმიმდევრულად და აქარვებენ ეჭვებს მათ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით (იხ. *mutatis mutandis, Gorzelik and Others*, ზემოთ მითითებული, § 65).

180. რაც შეეხება წინამდებარე საქმეს, არ არსებობს რაიმე მიმანიშნებელი იმაზე, რომ მომჩივნის საქმის გადაწყვეტის დროს მოქმედებდა რაიმე სახელმძღვანელო პრინციპები თუ პრაქტიკა, რომელიც ცნების „ფიცის დარღვევა“ თანმიმდევრულ და შეზღუდულ ინტერპრეტაციას დაამკვიდრებდა.

181. სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ ადგილი არ ჰქონდა შესაბამის პროცედურულ გარანტიებს რელევანტური მატერიალური კანონის თვითნებური გამოყენების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ვადებს „ფიცის დარღვევის“ საფუძველზე მოსამართლის წინააღმდეგ წარმოების დასაწყებად. ხანდაზმულობის ვადების არ არსებობამ, რაც მიმოხილული იქნა ზევით კონვენციის მე-6 მუხლის ქვეშ, დისციპლინური პასუხისმგებლობის დამკისრებელი ორგანოების დისკრეცია უსაზღვრო გახადა და სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევა გამოიწვია.

182. მეტიც, ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა დისციპლინური სამართალდარღვევებისთვის სანქციების გრადაციებს და პროპორციულობის პრინციპის დაცვით მათ გამოყენებას არ უზრუნველყოფდა. მომჩივნის საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს, მოქმედებდა მხოლოდ სამი სახის სანქცია დისციპლინური გადაცდომებისთვის: საყვედური, საკვალიფიკაციო კლასის ჩამოქვეითება და სამსახურიდან გათავისუფლება. აღნიშნული სამი სახის სანქცია არ იძლეოდა მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელის შეფარდების საშუალებას პროპორციულ საფუძველებზე. შესაბამისად, ხელისუფლებას გააჩნდა შეზღუდული შესაძლებლობები საზოგადო და კერძო ინტერესების დასაბალანსებლად თითოეული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

183. მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ დისციპლინური სანქციების პროპორციულად გამოყენების პრინციპი პირდაპირაა მითითებული მოსამართლეთა სტატუტის შესახებ ევროპული ქარტიის 5.1 პარაგრაფში (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 78)

და ზოგიერთ სახელმწიფოში აღნიშნული პრინციპის დაცვის მიზნით ჩამოყალიბებულია სანქციათა დეტალური იერარქია (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 82).

184. და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი საპირწონე დისციპლინური პასუხისმგებლობის დამკისრებელი/შემფარდებელი ორგანოს დისკრეციასთან მიმართებით არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი განხილვის ხელმისაწვდომობა. თუმცა, ეროვნული კანონმდებლობა არ განსაზღვრავს შესაბამის ჩარჩოებს აღნიშნული განხილვისთვის და როგორც უკვე ითქვა, ის არ იყო ხელმისაწვდომი მომჩივნისათვის.

185. შესაბამისად, „ფიცის დარღვევის“ სამართალდარღვევის თანმიმდევრული და შემზღლუდავი ინტერპრეტაციის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპებისა და პრაქტიკის, ისევე როგორც შესაბამისი სამართლებრივი გარანტიების არ არსებობამ, გამოიწვია ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების შედეგების ბუნდოვანება. აღნიშნულ ფონზე, დისციპლინური პასუხისმგებლობის შემფარდებელი ორგანოს სურვილის შემთხვევაში, არსებობდა შესაძლებლობა, რომ მოსამართლის ნებისმიერი არასათანადო საქციელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის ჰქონდა ასეთს ადგილი მის კარიერაში, გამხდარიყო საკმარისი ფაქტობრივი საფუძველი „ფიცის დარღვევის“ გამო დისციპლინური სახდელის დაკისრების მიზნით, რასაც მისი სამსახურიდან გათავისუფლება მოჰყვებოდა.

(iv) დასკვნა

186. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაში ჩარევა არ იყო კანონიერი: ჩარევა არ შეესაბამებოდა ეროვნულ კანონმდებლობას და მეტიც, მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა არ აკმაყოფილებდა განჭვრეტადობის მოტხოვნებს და არ უზრუნველყოფდა შესაბამის დაცვას თვითნებობისგან.

187. ამიტომ, ადგილი აქვს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

III. კონვენციის მე-13 მუხლის სავარაუდო დარღვევა

188. მომჩივანი ასევე დავობდა, რომ მას არ ჰქონდა ქმედითი მისაგებელი სამსახურიდან მის უკანონო გათავისუფლებასთან მიმართებით. ის დაეყრდნო კონვენციის მე-13 მუხლს, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

„ ყველას, ვისაც ამ კონვენციით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაერღვა, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა“.

189. განიხილა რა მარეთა მოსაზრებები მოცემული ნაწილის ქვეშ, სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივარი დასაშვებია. თუმცა, სასამართლოს დასკვნების გათვალისწინებით კონვენციის მე-6 მუხლის თაობაზე, წინამდებარე საჩივარი რაიმე

ცალკე საკითხს არ წარმოშობს (იხ. *Brualla Gómez de la Torre v Spain*, 19 დეკემბერი 1997, § 41, ანგარიში 1997-VIII).

190. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ კონვენციის მე-13 მუხლის ქვეშ საჩივრის დამოუკიდებლად განხილვის საჭიროება არ არსებობს.

IV. კონვენციის 41-ე და 46-ე მუხლების გამოყენება

191. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„ თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

192. კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად:

„ 1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას საქმეებზე, რომლებშიც ისინი მხარეს წარმოადგენენ.

2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას. ...“

ა. მითითება ზოგად და ინდივიდუალურ ღონისძიებებზე

1. ზოგადი პრინციპები

193. კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად გადაწყვეტილებათა აღსრულების კონტექსტში, გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლო დაადგენს კონვენციის დარღვევას, ამ მუხლის თანახმად აკისრებს მოპასუხე სახელმწიფოს სამართლებრივ ვალდებულებას, აღკვეთოს დარღვევა და მოახდინოს დარღვევის შედეგების რეპარაცია (გამოსწორება) იმგვარად, რომ მაქსიმალურად აღადგინოს დარღვევის ჩადენამდე არსებული სიტუაცია. მეორეს მხრივ, იმ შემთხვევაში, თუ ეროვნული კანონმდებლობა არ იძლევა ან ნაწილობრივ იძლევა დარღვევის შედეგების რეპარაციის შესაძლებლობას, 41-ე მუხლი სასამართლოს აძლევს უფლებამოსილებას, მიანიჭოს დაზარალებულ მხარეს ისეთი დაკმაყოფილება, რომელსაც სასამართლო სათანადოდ მიიჩნევს. აქედან გამომდინარეობს, *inter alia*, რომ გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლო დაადგენს კონვენციისა თუ თანდართული ოქმების დარღვევას, აკისრებს მოპასუხე სახელმწიფოს არა მარტო სამართლიანი დაკმაყოფილების შედეგად დაკისრებული შესაბამისი თანხების გადახდის ვალდებულებას, არამედ ანიჭებს უფლებამოსილებას აირჩიოს, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ, ზოგადი და/ან, თუ ეს შესაბამისად ჩაითვლება, ინდივიდუალური ღონისძიებები, რომლებიც სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ეროვნულ დონეზე, რათა აღიკვეთოს სასამართლოს მიერ დადგენილი დარღვევა და

მოხდეს დარღვევის შედეგების შესაძლო რეპარაცია იმგვარად, რომ მაქსიმალურად აღდგეს დარღვევის ჩადენამდე არსებული სიტუაცია (იხ. *Maestri v. Italy* [GC], no. 39748/98, § 47, ECHR 2004-I; *Assanidze v. Georgia* [GC], no. 71503/01, § 198, ECHR 2004-II; და *Ilaşcu and Others v. Moldova and Russia* [GC], no. 48787/99, § 487, ECHR 2004-VII).

194. სასამართლო იმეორებს, რომ მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ძირითადად, დეკლარაციული ხასიათისაა და ზოგადად სწორედ შესაბამის სახელმწიფოს აქვს უწინარესი უფლება აირჩიოს, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ, ეროვნულ სამართლებრივ დონეზე გამოსაყენებელი საშუალებები კონვენციის 46-ე მუხლით დაკისრებული სამართლებრივი ვალდებულების აღსასრულებლად, მაგრამ, ამავე დროს, ასეთი საშუალებები შესაბამისობაში უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებულ დასკვნებთან (იხ. სხვა წყაროებს შორის, *Öcalan v. Turkey* [GC], no. 46221/99, § 210, ECHR 2005-IV; *Scozzari and Giunta v. Italy* [GC], nos. 39221/98 და 41963/98, § 249, ECHR 2000-VIII; და *Brumărescu v. Romania* (სამართლიანი დაკმაყოფილება)[GC], no. 28342/95, § 20, ECHR 2001-I). ხსენებული დისკრეცია გადაწყვეტილების აღსრულების მეთოდთან დაკავშირებით, ასახავს არჩევანის თავისუფლებას, რომელიც ხელშემკვრელ სახელმწიფოებს გააჩნიათ თავიანთი უწინარესი ვალდებულების შესრულებისას, კონვენციით გარანტირებული უფლებათა და თავისუფლებათა უზრუნველყოფის პროცესში (მუხლი 1) (იხ. *Papamichalopoulos and Others v. Greece* (Article 50), 31 ოქტომბერი 1995, § 34, სერია A no. 330-B).

195. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში, იმ მიზნით, რომ დაეხმაროს მოპასუხე სახელმწიფოს კონვენციის 46-ე მუხლით დაკისრებული ვალდებულების შესრულებაში, სასამართლო მიუთითებს ღონისძიების სახეს, რომელიც შეიძლება სახელმწიფოს მიერ გამოყენებულ იქნას გადაწყვეტილებით დადგენილი დარღვევის აღსაკვეთად. ასეთ ვითარებაში, სასამართლო სთავაზობს სახელმწიფოს რამდენიმე ღონისძიებას და აღნიშნული ღონისძიებების არჩევისა და მისი იმპლემენტაციის დისკრეციას სახელმწიფოს ანიჭებს (მაგალითისთვის იხ. *Broniowski v. Poland* [GC], no. 31443/96, § 194, ECHR 2004-V). ზოგ შემთხვევებში, გადაწყვეტილებით დადგენილი დარღვევა თავისი ხასიათით არ ტოვებს დარღვევის გამოსასწორებლად საჭირო ღონისძიებებს შორის რაიმე რეალური არჩევანის საშუალებას და სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას სახელმწიფოს მიუთითოს კონკრეტული ღონისძიების შესახებ (მაგალითისთვის იხ. *Assanidze*, ზემოთ მითითებული, §§ 202 და 203; *Aleksanyan v. Russia*, no. 46468/06, § 240, 22 დეკემბერი 2008; და *Fatullayev v. Azerbaijan*, no. 40984/07, §§ 176 და 177, 22 აპრილი 2010).

2. წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით

(ა) ზოგადი ღონისძიებები

(i) მხარეთა მოსაზრებები

196. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი საქმე ავლენდა უკრაინის სამართლებრივ სისტემაში არსებულ ფუნდამენტურ სისტემურ პრობლემებს, რაც უკავშირდებოდა სახელმწიფოს მიერ ხელისუფლების გადანაწილების პრინციპის უგულვებლყოფას. აღნიშნული სისტემური პრობლემები კონვენციის 46-ე მუხლის გამოყენებას საჭიროებდა. მომჩივანი ასაბუთებდა, რომ წინამდებარე საჩივარში მის მიერ წარმოდგენილი პრობლემები ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი სფეროების შეცვლის აუცილებლობაზე მიუთითებდა. კერძოდ, ცვლილებებს საჭიროებდა კონსტიტუცია და „იუს“ შესახებ 1998 წლის კანონის ის ნაწილი, რომელიც „იუს“ შემადგენლობის დაკომპლექტებასა და მოსამართლეთა დანიშვნა/გათავისუფლების პროცედურებს შეეხებოდა; აღნიშნული ვრცელდებოდა, ასევე ადმინისტრაციული მართლმსაჯულების კოდექსზე „უას“ იურისდიქციასა და უფლებამოსილებასთან მიმართებით.

197. ზემოაღნიშნულს მთავრობა არ დაეთანხმა, რომელმაც განაცხადა, რომ სახელმწიფო ორგანოების მიერ მომჩივნის საქმის განხილვის შემდეგ, მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა მიღებული ეროვნულ კანონმდებლობაში. კერძოდ, 2010 წლის 7 ივლისის ცვლილებებით „იუს“ შესახებ 1998 წლის კანონში „იუს“ შემადგენლობაში შემავალი მოსამართლეების რაოდენობა გაიზარდა და საბოლოოდ, მოსამართლეებმა აღნიშნული ორგანოს უმრავლესობა შეადგინა (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 68). 2012 წლის ივნისში დამატებითი ცვლილებები შევიდა „იუს“ შესახებ 1998 წლის კანონში, რომლის თანახმად „იუს“ წევრ ყოფილ თუ მოქმედ პროკურორს აეკრძალა წინასწარი მოკვლევის ჩატარება პროკურატურის მიერ აღძრულ საქმეზე.

198. მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ პარლამენტის როლი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხში შემცირდა, ვინაიდან აღარ არსებობდა საპარლამენტო კომიტეტისა თუ საპარლამენტო გამოძიების ნებისმიერი ფორმის მიერ საქმის გადასინჯვის მოთხოვნა.

(ii) სასამართლოს შეფასება

199. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმე ავლენს უკრაინის სასამართლო ხელისუფლების ფუნქციონირების სერიოზულ სისტემურ პრობლემებს. კერძოდ, საქმეზე დადგენილი დარღვევები მიუთითებენ, რომ უკრაინაში მოსამართლეების დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემა არ არის სათანადოდ ჩამოყალიბებული, ვინაიდან სასამართლო ხელისუფლება გამოყოფილი არ არის ხელისუფლების სხვა შტოებისგან. მეტიც, ის არ მოიცავს დისციპლინური ღონისძიებების ბოროტად გამოყენებისაგან დაცვის სათანადო გარანტიებს სასამართლო დამოუკიდებლობის საზიანოდ, ეს უკანასკნელი კი დემოკრატიის ფუნქციონირებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულებაა.

200. სასამართლო მიიჩნევს, რომ დადგენილი დარღვევების ხასიათი მოითხოვს, რომ წინამდებარე გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულების მიზნებისათვის მოპასუხე სახელმწიფომ მიიღოს ზოგადი ხასიათის ღონისძიებები, რომელთა მიზანი მოსამართლეების დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის რეფორმირება

იქნება. აღნიშნული ღონისძიებები უნდა შეიცავდეს საკანონმდებლო რეფორმებს სისტემის ინსტიტუციონალური საფუძვლების რესტრუქტურისაციის კუთხით. მეტიც, მოცემულ სფეროში გატარებულ ღონისძიებებს ეროვნული კანონმდებლობის თანმიმდევრული გამოყენების შესაბამისი პრინციპების დანერგვა უნდა მოჰყვეს.

201. რაც შეეხება მთავრობის მტკიცებას იმასთან დაკავშირებით, რომ მათ უკვე მიიღეს გარკვეული საკანონმდებლო გარანტიები მოცემულ სფეროში, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2010 წლის 7 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებებს არ გააჩნიათ მყისიერი ეფექტი და „იუს“ შემადგენლობა თანდათანობით განახლდება მომავალში. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ფაქტიურად არ წყვეტს კონკრეტულ საკითხს, როგორცაა „იუს“ შემადგენლობის დაკომპლექტება (იხ. ზემოთ, პარაგრაფი 112). რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ მითითებულ სხვა საკანონმდებლო ცვლილებებს, სასამართლო არ მიიჩნევს, რომ ისინი პასუხობენ წინამდებარე საქმეში სასამართლოს მიერ იდენტიფიცირებულ პრობლემებს. არსებობს ბევრი საკითხი, რომლებიც მიმოხილულია მოცემული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, რომლებიც ამ სფეროში ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებენ. ჯამში, სახელმწიფოს მიერ აღნიშნული საკანონმდებლო ღონისძიებები, წინამდებარე საქმეზე სამართლებრივ სისტემაში გამოვლენილ სისტემური ხარვეზების პრობლემებს არ წყვეტს.

202. შესაბამისად, სასამართლო აუცილებლად მიიჩნევს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ უკრაინამ თავის სამართლებრივ სისტემაში სასწრაფოდ უნდა გაატაროს ზემოთ აღნიშნული ზოგადი რეფორმები. აღნიშნულის განხორციელების დროს, უკრაინის ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს წინამდებარე გადაწყვეტილება, სასამართლოს რელევანტური პრეცედენტული სამართალი და მინისტრთა კომიტეტის შესაბამისი რეკომენდაციები, რეზოლუციები თუ გადაწყვეტილებები.

(ბ) ინდივიდუალური ღონისძიებები

(i) მხარეთა მოსაზრებები

203. მომჩივანი აცხადებდა, რომ სამსახურში აღდგენა მისთვის დარღვეული უფლების გამოსწორების ყველაზე შესაფერის ფორმას წარმოადგენდა. ალტერნატიულად, ის მოითხოვდა, რომ სასამართლოს დაევალებულიყვნა მოპასუხე სახელმწიფო განეხლებინა მისი საქმის წარმოება.

204. მთავრობამ განაცხადა, რომ არ არსებობდა ინდივიდუალურ ღონისძიებებთან დაკავშირებით რაიმე სპეციფიკური მითითების საჭიროება, ვინაიდან მთავრობა აღნიშნულ საკითხს სათანადოდ მოაგვარებდა მინისტრთა კომიტეტთან თანამშრომლობის გზით.

(ii) სასამართლოს შეფასება

205. სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი სამსახურიდან გაათავისუფლეს კონვენციის მე-6 მუხლით დაცული პროცედურული სამართლიანობის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევით, როგორცაა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს პრინციპი, სამართლებრივი განსაზღვრულობა და საქმის განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მომჩივნის გაათავისუფლება არ შეესაბამებოდა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული კანონიერების მოთხოვნებს. მომჩივნის, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, გათავისუფლება კონვენციის ზემოაღნიშნული პრინციპების უგულვებელყოფით, შეიძლება მიჩნეულ იქნას საფრთხედ მთლიანად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისათვის.

206. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, თუ რომელი ინდივიდუალური ღონისძიება იქნება ყველაზე შესაფერისი მოცემულ საქმეში დადგენილი დარღვევების აღსაკვეთად. იმ საქმეებში, რომლებშიც ეროვნულ დონეზე სამართალწარმოება არ შეესაბამებოდა კონვენციის მოთხოვნებს, სასამართლომ განაცხადა, რომ დადგენილი დარღვევების რეპარაციის მიზნით ყველაზე შესაფერისი ფორმა ქვეყნის შიგნით საქმის წარმოების განახლებაა (იხ. მაგალითად *Huseyn and Others v. Azerbaijan*, nos. 35485/05, 45553/05, 35680/05 და 36085/05, § 262, 26 ივლისი 2011, შემდგომი მითითებებით). აღნიშნული ღონისძიების შესახებ სასამართლომ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მიუთითა (იხ. მაგალითად, *Lungoci v. Romania*, no. 62710/00, 26 იანვარი 2006 და *Ajdarić v. Croatia*, no. 20883/09, 13 დეკემბერი 2011).

207. ითვალისწინებს რა ზემოაღნიშნულ დასკვნებს ზოგადი ღონისძიებების გატარების აუცილებლობის შესახებ მოსამართლეების დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის რეფორმირების მიზნით, სასამართლოს მიაჩნია, რომ ქვეყნის შიგნით საქმის წარმოების განახლება არ წარმოადგენს მომჩივნის დარღვეული უფლებების აღდგენის სათანადო ფორმას. უახლოეს მომავალში არ არსებობს საფუძვლები ვარაუდისთვის, რომ მომჩივნის საქმის ხელახალი განხილვა კონვენციის პრინციპების შესაბამისი იქნება. ამ გარემოებებში, სასამართლო ასეთ ღონისძიებაზე მითითების აზრს ვერ ხედავს.

208. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ სასამართლო მომჩივანს გაურკვეველ მდგომარეობაში ტოვებს მისი დარღვეული უფლებების აღდგენის გზების თაობაზე. სასამართლოს მიაჩნია, რომ თავისი ხასიათით, სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეში დადგენილი მდგომარეობა არ ტოვებს ინდივიდუალურ ღონისძიებებს შორის რაიმე რეალური არჩევანის საშუალებას, მომჩივნისთვის კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის გამოსასწორებლად. საქმის გამონაკლისი გარემოებების და კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლების დარღვევების აღკვეთის აუცილებლობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მომჩივნის აღდგენა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე მაქსიმალურად მოკლე ვადებში.

ბ.ზიანი

1. მატერიალური ზიანი

209. მომჩივანი აცხადებდა, რომ მის წინააღმდეგ დაწყებული საქმის არასამართლიანი საქმის წარმოების შედეგად, რასაც უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან მისი გათავისუფლება მოჰყვა, მას ჩამოერთვა უფლება მიეღო უზენაესი სასამართლოს მოსამართლისთვის კუთვნილი ხელფასი, სახელფასო დანამატი და მოსამართლის პენსია. მომჩივანმა წარმოადგინა სასარჩელო მოთხოვნის დეტალური გაანგარიშება, რამაც 11,720,639.86 უკრაინული გრივნა (UAH) ანუ 1,107,255.87 ევრო (EUR) შეადგინა.

210. მთავრობა არ დაეთანხმა წარმოდგენილ სასარჩელო მოთხოვნას და განაცხადა, რომ ის სპეკულაციური, გადაჭარბებული და დაუსაბუთებელი იყო.

211. მოცემული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხი არ არის მზად გადაწყვეტილების მისაღებად. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა გადაიდება და მისი გადაწყვეტის მიზნით შესაბამისი პროცედურა დაინიშნება, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება მთავრობასა და მომჩივანს შორის მიღწეული შეთანხმება, ასეთის არსებობის შემთხვევაში (სასამართლოს რეგლამენტის 75-ე მუხლის §§ 1 და 4).

2. მორალური ზიანი

212. მომჩივანი აცხადებდა, რომ სამსახურიდან უსამართლოდ გათავისუფლების შედეგად მან განიცადა ტანჯვა და მღელვარება, რომლის საკომპენსაციოდ მართლოდენ დარღვევების დადგენა არ კმარა. მან სამართლიანი დაკმაყოფილების სახით მორალური ზიანის ასანაზღაურებლად 20 000 EUR მოითხოვა.

213. მთავრობა ამტკიცებდა, რომ სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაუსაბუთებელი იყო.

214. სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანმა ტანჯვა და მღელვარება განიცადა მის საქმეში არსებული დარღვევების გამო. ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრინციპით კონვენციის 41-ე მუხლის მოთხოვნათა თანახმად, სასამართლო მომჩივანს მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 6 000 EUR აკუთვნებს.

გ. ხარჯები

215. მომჩივანმა ასევე მოითხოვა 14,945.81 ფუნტი სტერლინგი (GBP) სასამართლოს წინაშე 2012 წლის 23 მარტსა და 20 აპრილს შორის გაწეული ხარჯებისთვის. მოთხოვნა მოიცავდა მომჩივნის წარმომადგენლების მიერ იურიდიული მომსახურების ხარჯებს (წარმომადგენლები ლონდონში, ბ-ნი ფილიპ ლიჩი და ქ-ნი ჯეინ გორდონი), რომლებმაც 82 საათი და 40 წუთი დახარჯეს მომჩივნის საქმეზე ზემოაღნიშნულ პერიოდში; EHRAC-ის დამხმარე პერსონალის, ადმინისტრაციულ ხარჯებსა და თარგმანის ხარჯებს.

216. აღნიშნულ თემაზე მომჩივანმა დამატებით მოითხოვა 11,154.95 GBP 2012 წლის 12 ივნისს სასამართლოს ზეპირ განხილვასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯებისათვის. მოთხოვნა მოიცავდა მომჩივნის წარმომადგენლების მიერ იურიდიული მომსახურების ხარჯებს, რომლებმაც 69 საათი და 30 წუთი დახარჯეს მომჩივნის საქმეზე, ასევე EHRAC-ის დამხმარე პერსონალის, ადმინისტრაციულ ხარჯებსა და თარგმანის ხარჯებს.

217. ზემოაღნიშნულ ნაწილში სასამართლოს მიერ თანხების მიკუთვნების შემთხვევაში მომჩივანმა მათი ჩარიცხვა პირდაპირ EHRAC-ის საბანკო ანგარიშზე მოითხოვა.

218. მთავრობა დავობდა, რომ მომჩივანმა ვერ დაადასტურა, რომ ხარჯების გაწევა აუცილებელი იყო მოცემულ საქმეში. მეტიც, ის არ იყო სათანადოდ დასაბუთებული.

219. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, მომჩივანი უფლებამოსილია ხარჯების ანაზღაურებაზე თუ ნაჩვენები იქნება რომ ისინი რეალური და აუცილებელი იყო მოცემულ საქმეში და მათი ოდენობა გონივრულია. წინამდებარე საქმეში, სასამართლო, მის ხელთ არსებული დოკუმენტების და ზემოთ მოცემული კრიტერიუმის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს დაადგინოს 12 000 EUR გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად მის ყველა ნაწილში. თანხა გადახდილი იქნება მომჩივნის წარმომადგენელთა საბანკო ანგარიშზე.

დ. საურავი

220. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს საჩივრის დანარჩენ ნაწილს დასაშვებად;
2. ადგენს, რომ ადგილი აქვს კონვენციის მე-6 § 1 მუხლის დარღვევას დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს პრინციპების მხრივ;
3. ადგენს, რომ ადგილი აქვს კონვენციის მე-6 § 1 მუხლის დარღვევას სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის და მომჩივნის წინააღმდეგ საქმისწარმოების ხანდაზმულობის ვადების არარსებობის მხრივ;
4. ადგენს, რომ ადგილი აქვს კონვენციის მე-6 § 1 მუხლის დარღვევას სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის და პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მომჩივნის გათავისუფლების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების მხრივ;

5. ადგენს, რომ ადგილი აქვს კონვენციის მე-6 § 1 მუხლის დარღვევას „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს“ პრინციპის მხრივ;
6. ადგენს, რომ კონვენციის მე-6 § 1 მუხლის ქვეშ დაყენებული დანარჩენი საჩივრის განხილვის საჭიროება არ არსებობს;
7. ადგენს, რომ ადგილი აქვს კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას;
8. ადგენს, რომ კონვენციის მე-13 მუხლის ქვეშ საჩივრის განხილვის საჭიროება არ არსებობს;
9. ადგენს, რომ უკრაინა ვალდებულია უზრუნველყოს მომჩივნის აღდგენა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე მაქსიმალურად მოკლე ვადებში;
10. ადგენს, რომ დადგენილი დარღვევიდან გამომდინარე მატერიალური ზიანისათვის სამართლიანი დაკმაყოფილების საკითხი არ არის მზად გადაწყვეტილების მისაღებად, შესაბამისად,
 - (ა) აღნიშნული საკითხი რჩება ღია;
 - (ბ) მოუწოდებს მთავრობასა და მომჩივანს, წინამდებარე გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების მიღების დღიდან სამი თვის ვადაში, წარმოადგინონ საკუთარი წერილობითი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხზე, კერძოდ, შეატყობინონ სასამართლოს ურთიერთ შორის მიღწეული ნებისმიერი შეთანხმების თაობაზე;
 - (გ) იტოვებს უფლებას გამოიყენოს დამატებითი პროცედურა და საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულის დადგენის უფლებამოსილებას გადასცემს პალატის პრეზიდენტს,
11. ადგენს
 - (ა) მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44 § 2 მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, მომჩივანს უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხები:
 - (i) 6,000 EUR (ექვსი ათასი ევრო) მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, ამას დამატებული ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს ხსენებული თანხა, გადახდის დღეს არსებული კურსით უკრაინულ გრივნაში.

- (ii) 12 000 EUR (თორმეტი ათასი ევრო) ხარჯების ანაზღაურების სახით, ამას დამატებული ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს მომჩივანი, რაც ჩაირიცხება მომჩივნის წარმომადგენელთა საბანკო ანგარიშზე;
- (ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი

12. უარყოფს მორალური ზიანის და ხარჯების ანაზღაურების სახით, მომჩივნის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურად და გამოცხადებულია საქმის საჯარო მოსმენისას, 2013 წ. 9 იანვარს, ადამიანის უფლებათა სასახლეში, სტრასბურგში, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§2 და §3) მუხლის შესაბამისად.

კლაუდია ვესტერდიკი
რეგისტრატორი

დინ შპილმანი
თავმჯდომარე

კონვენციის 45§2 და სასამართლოს რეგლამენტის 74§2 მუხლების შესაბამისად, წინამდებარე გადაწყვეტილებას თან ერთვის მოსამართლე იუდევისკას განსხვავებული მოსაზრება.

დ.ს.

კ-3

მოცემულ თარგმანს არ ერთვის განსხვავებული მოსაზრებანი, თუმცა ისინი თან ახლავს გადაწყვეტილების ინგლისურ და/ან ფრანგულ ოფიციალურ ტექსტებს, რომელთა ნახვაც შესაძლებელია სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზაში - HUDOC.

© ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2013

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ოფიციალური ენებია ინგლისური და ფრანგული. წინამდებარე თარგმანი გაკეთდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების ნდობის ფონდის მხარდაჭერით (www.coe.int/humanrightstrustfund). თარგმანი სასამართლოსთვის სავალდებულო იურიდიული ძალის მქონე არაა და სასამართლო მის ხარისხზე პასუხს არ აგებს. თარგმანის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მონაცემთა ბაზიდან (<http://hudoc.echr.coe.int>), ან ნებისმიერი სხვა მონაცემთა ბაზიდან, რომელსაც სასამართლომ წინამდებარე თარგმანი გადასცა. თარგმანის გამოყენება არაკომერციული მიზნებისთვის ნებადართულია იმ პირობით, რომ მოხდება საქმის სრული დასახელების ციტირება, ზემოთ მოცემული საავტორო უფლებებისა და ადამიანის უფლებების ნდობის ფონდის შესახებ შენიშვნის მითითებით. წინამდებარე თარგმანის, ან მისი ნაწილის, კომერციული მიზნებით გამოყენების სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ publishing@echr.coe.int.

© Council of Europe/European Court of Human Rights, 2013

The official languages of the European Court of Human Rights are English and French. This translation was commissioned with the support of the Human Rights Trust Fund of the Council of Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). It does not bind the Court, nor does the Court take any responsibility for the quality thereof. It may be downloaded from the HUDOC case-law database of the European Court of Human Rights (<http://hudoc.echr.coe.int>) or from any other database with which the Court has shared it. It may be reproduced for non-commercial purposes on condition that the full title of the case is cited, together with the above copyright indication and reference to the Human Rights Trust Fund. If it is intended to use any part of this translation for commercial purposes, please contact publishing@echr.coe.int.

© Conseil de l'Europe/Cour européenne des droits de l'homme, 2013

Les langues officielles de la Cour européenne des droits de l'homme sont le français et l'anglais. La présente traduction a été effectuée avec le soutien du Fonds fiduciaire pour les droits de l'homme du Conseil de l'Europe (www.coe.int/humanrightstrustfund). Elle ne lie pas la Cour, et celle-ci décline toute responsabilité quant à sa qualité. Elle peut être téléchargée à partir de HUDOC, la base de jurisprudence de la Cour européenne des droits de l'homme (<http://hudoc.echr.coe.int>), ou de toute autre base de données à laquelle HUDOC l'a communiquée. Elle peut être reproduite à des fins non commerciales, sous réserve que le titre de l'affaire soit cité en entier et s'accompagne de l'indication de copyright ci-dessus ainsi que de la référence au Fonds fiduciaire pour les droits de l'homme. Toute personne souhaitant se servir de tout ou partie de la présente traduction à des fins commerciales est invitée à le signaler à l'adresse suivante : publishing@echr.coe.int.